განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

# აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

## საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

## შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი

16-17 სექტემბერი 2021

31 ოქტომბერი 2021

თბილისი

## ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ[1]

| | |
|---|---|
| დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით | შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი |
| დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი | 229 2754 0 5 |
| დაწესებულების სახე | უნივერსიტეტი |

## ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

| | |
|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება | საერთაშორისო ურთიერთობები |
| უმაღლესი განათლების საფეხური | ბაკალავრიატი – აკადემიური უმაღლესი განათლების პირველი საფეხური |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია | საერთაშორისო ურთიერთობების ბაკალავრი |
| დეტალური სფეროს დასახელება და კოდი | 0 312 პოლიტიკის მეცნიერებები და მოქალაქეობრიობის საფუძვლები |
| ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში) | |
| სწავლების ენა | ქართული |
| ECTS კრედიტების რაოდენობა | 240 |
| პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი) | აკრედიტებული<br>№441 09.12.2011 |

## ექსპერტთა ჯგუფის წევრები

| | |
|---|---|
| თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | ირაკლი მანველიძე, პროფესორი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახლმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | გვანცა აბდალაძე, ასოცირებული პროფესორი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | ირმა ქურდაძე, პროფესორი, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | ნანა ფირცხელანი, კავკასიის უნივერსიტეტი, საქართველო |

[1] ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის

## აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

როგორც თვითშეფასების დოკუმენტშია აღნიშნული შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში (შზსუ), საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამა ფუნქციონირებს 2011 წლიდან. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა მიზნებიდან გამომდინარე მოაზრებულია, როგორც მრავალმხრივი და ფართო განათლების მიმცემი, რომელიც პასუხობს თანამედროვე გამოწვევებს საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში და მისი მიზანია მაღალკვალიფიციური სპეციალისტის მომზადება, რომელიც ფლობს საჭირო ცოდნასა და კომპეტენციებს დარგში წარმატებული საქმიანობისა და სწავლის შემდგომ საფეხურზე გაგრძელებისათვის. როგორც წარმოდგენილი დოკუმენტების შესწავლით, ასევე უნივერსიტეტის ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან გასაუბრებით დადგინდა საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალვროსაგანმანათლებლო პროგრამა დღეს არის მოქმედი საგანამანთლებლო პროგრამა, რომელსაც აკრედიტაციის ვადა ეწურება 2021 წლის 31 დეკემბერს. შესაბამისად, უნივერსიტეტმა საჭიროდ ჩათვალა, რომ სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის რეაკრედიტაციის მიზნით მოემზადებინა საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამის გეგმიური აკრედიტაციისთვის და წარმოადგინა წინამდებარე პროგრამა, რომლის კურიკულუმის სტრუქტურა და შემადგენელი ელემენტები აგებულია ზოგადიდან კონკრეტულისკენ მიმართული შესაბამისი ცოდნისა და უნარების განვითარებისკენ, მასში მოცემულია სხვადასხვა დისციპლინის ერთიან კონტექსტში გააზრება, თეორიული ცოდნის მიწოდება-მიღებისა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარების სინთეზი. პროგრამის ფარგლებში სტუდენტი იძენს საერთაშორისო ურთიერთობების დარგის თეორიული საფუძვლების და საბაზისო კვლევის მეთოდების განხორციელების სპეციფიკის, პროცესებისა და მათი ისტორიული კონტექსტის, ასევე, საერთაშორისო ურთიერთობების სუბდისციპლინებისა და საკვანძო საკითხების ფართო ცოდნას. როგორც საგანმანათლებლო პროგრამის შესწავლამ აჩვენა პროგრამის კურიკულუმი, ითვალისწინებს დარგის ინტერდისციპლინარულ ბუნებას, ის აწვდის სტუდენტს საბაზისო ცოდნას მომიჯნავე დისციპლინებში. მიღებული ცოდნის საფუძველზე, პროგრამის კურსდამთავრებულს შეუძლია იმსჯელოს საერთაშორისო ურთიერთობების აქტორების როლსა და ჩართულობის სპეციფიკაზე მსოფლიო პოლიტიკაში, მათ შორის, საქართველოს საგარეო პოლიტიკასა და მის წინაშე არსებულ გამოწვევებსა და შესაძლებლობებზე; შეაფასოს საერთაშორისო ურთიერთობების მიმდინარე მოვლენები და გამოწვევები; ხელმძღვანელის ზედამხედველობით, დაგეგმოს და განახორციელოს საბაზისო კვლევა; დამოუკიდებლად გაიღრმავოს ცოდნა დისციპლინის ფარგლებში სასურველი მიმართულებით.

გასაუბრებით, ასევე პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების დოკუმენტის ანალიზის მიხედვით პროგრამა არსებობის განმავლობაში მან განიცადა ცვლილებები, რომლებმაც უზრუნველყო მისი შესაბამისობა დარგის განვითარების თანამედროვე მოცემულობასა და დარგში დანერგილ საუკეთესო პრაქტიკასთან. წარმოდგენილი განხორციელებული ცვლილებების დეტალური აღწერის დოკუმენტის მიხედვით ირკვევა რომ პროგრამას ცვლილებების შედეგად დაემატა არჩევითი სასწავლო კურსები, რომელთა საშუალებითაც დაიფარა დარგის ფარგლებში განსახილველი მნიშვნელოვანი საკითხები. ცვლილებების შედეგად პროგრამაში ასევე გაიზარდა თავისუფალი კომპონენტის კრედიტული მოცულობა და სტუდენტებს მიეცათ შესაძლებლობა თავიანთი ინტერესების შესაბამისად შეერჩიათ სასწავლო კურსები და გაეფართოვებინათ ცოდნა სასურველი მიმართულებით, ან დაუფლებოდნენ დამატებით სპეციალობას. პროგრამის ენის კომპონენტს ასევე დაემატა ორი უცხო ენა (გერმანული და ფრანგული), განახლდა სასწავლო კურსების თემატიკა, ლიტერატურა და სწავლისა და სწავლების მეთოდები, მოდიფიცირდა დასახელებები, გადაიხედა პრერეკვიზიტები. ასევე ცვლილებების შედეგად პროგრამის ფუნქციონირების მანძილზე, გაიზარდა პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობა.

საერთაშორისო ურთიერთობების განახლებული პროგრამა აკრედიტაციის მიზნებისათვის წარდგენილია შემდეგი ფორმით: საბაკალავრო პროგრამა აგებულია ECTS სისტემის

საფუძველზე. პროგრამის ხანგრძლივობაა 4 აკადემიური წელი (8 სემესტრი). პროგრამის მოცულობაა 240 კრედიტი. 1 კრედიტი მოიცავს 25 საათს. პროგრამის კრედიტების მოცულობა შემდეგნაირადაა განაწილებული: სპეციალობის სავალდებულო კომპონენტი - 120 კრედიტი (აქედან, საბაკალავრო ნაშრომი - 10 კრედიტი); აკადემიური წერა - 5 კრედიტი; ინფორმაციული ტექნოლოგიები - 5 კრედიტი; უცხო ენები - 30 კრედიტი; სპეციალობის არჩევითი კომპონენტი - 20 კრედიტი, თავისუფალი კრედიტები/დამატებითი სპეციალობა – 60 კრედიტი საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამით მისანიჭებელი კვალიფიკაციაა - საერთაშორისო ურთიერთობების ბაკალავრი.

აღსანიშნავია, რომ დაინტერესებულ მხარეებთან ერთად პროგრამის მოდიფიცირება და განახლება ხდებოდა მისი ხელმძღვანელების, უნივერსიტეტის და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის და ყველა დაინტერესებული მხარის ჩართულობით. საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტები და კურსდამთავრებულები მის განვითარებაში ჩართული არიან არამხოლოდ რეაკრედიტაციისთვის მზადების პროცესში, არამედ სასწავლო პროცესის განმავლობაში. პოტენციური დამსაქმებლების როლი პროგრამის განახლების პროცესის განმავლობაში ასევე ხაზგასასმელია.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

აკრედიტაციის ჯგუფის ონლაინ ვიზიტი შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში შედგა 2021 წლის 16-17 სექტემბერს გაწერილი დღის წესრიგის მიხედვით, გასაუბრება შედგა შემდეგ ჯგუფებთან/ადამიანებთან:

- უნივერსიტეტის და ფაკულტეტის ადმინისტრაცია
- პროგრამის თვითშეფასების ჯგუფი
- პროგრამის ხელმძღვანელი
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი
- პროგრამის აკადემიური და მოწვეული პერსონალი
- პროგრამის სტუდენტები
- პროგრამის კურსდამთავრებულები
- დამსაქმებლები.

გარდა ამისა, დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით მოხდა უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის (ბიბლიოთეკა, და სხვ.) დათვალიერება, რომელიც მოემსახურება საბაკალავრო პროგრამის ფუნქციონირებას.

დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება გაგრძელდა ორი დღის განმავლობაში 10.00-დან 18.00 საათამდე.

ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ პროგრამის შეფასებამ ჩაიარა კონსტრუქციულ გარემოში; რესპონდენტები იყვნენ ინფორმატიულები, მომზადებულები და გულწრფელები, რამაც ექსპერტთა ჯგუფს მისცა ადეკვატური და ობიექტური შეფასებების გაკეთების შესაძლებლობა.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა აკრედიტაციის ხუთი სტანდარტის მიხედვით საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამამ ასეთი შედეგი აჩვენა:

- საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - პროგრამა **შესაბამისობაშია** სტანდარტის მოთხოვნებთან;
- სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - პროგრამა **მეტწილად შესაბამისობაშია** სტანდარტის მოთხოვნებთან;
- სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - პროგრამა **შესაბამისობაშია** სტანდარტის მოთხოვნებთან;
- სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - პროგრამა **შესაბამისობაშია** სტანდარტის მოთხოვნებთან;
- სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - პროგრამა **შესაბამისობაშია** სტანდარტის მოთხოვნებთან;

- რეკომენდაციები

**სტანდარტი 1, ქვესტანდარტი 1.2.**

1 რეკომენდებულია, ცოდნა და გაცნობიერების, უნარების, ავტონომიურობისა და პასუხისმგებლობების ნაწილები ნათლად იყოს წარმოდგენილი პროგრამაში, რათა პროგრამის პროგრამის სწავლის შედეგები იყო მკაფიო და გაზომვადი.

2. რეკომენდირებულია პროგრამის სწავლის შედეგებში აისახოს პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის ნაწილი, რათა ის შეესაბამებოდეს მოვიდეს სავალდებულო სასწავლო კურსებში (დემოკრატიული მმართველობა და კანონის უზენაესობა; საჯარო საერთშორისო სამართალი; შესავალი საგარეო პოლიტიკის ანალიზში; შესავალი საერთაშორისო უსაფრთხოებაში; კვლევის მეთოდები სოციალურ მეცნიერებებში; საქართველოს საგარეო პოლიტიკა; თეზისის წერა (პრაქტიკული კურსი), გაწერილ პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის სწავლის შედეგებთან.

**სტანდარტი 2, ქვესტანდარტი 2.2.**

3. რეკომენდირებულია, ცალკეულ სასწავლო კურსებს ჰქონდეთ დაშვების წინაპირობები, რათა ისინი იყვნენ არა მარტო ლოგიკურად და თანმიდევრულად დალაგებულნი, არამედ მან შექმნას სტუდენტისთვის ცოდნის უწყვეტობის და ათვისების საფუძვლიც. (მაგალითად, პოლიტიკური აზრის ისტორია უნდა იყოს პოლიტიკური იდეოლოგიების საფუძვლების წინაპირობა, ასევე სასწავლო კურსი მსოფლიო ისტორიის მიმოხილვა უნდა იყოს წინაპირობა სასწავლო კურსის საერთაშორისო ურთიერთობების ისტორია).

**სტანდარტი 2, ქვესტანდარტი 2.3.**

4. რეკომენდირებულია სასწავლო კურსების - პოლიტიკური აზრის ისტორია, საერთაშორისო პოლიტიკა, დემოკრატიული მმართველობა და კანონის უზენაესობა, შესავალი პოლიტიკურ მეცნიერებაში, საერთაშორისო ორგანიზაციები, საერთაშორისო უსაფრთხოებაში, შესავალი საგარეო პოლიტიკის ანალიზში, საქართველოს საგარეო პოლიტიკა, სწავლის შედეგების რეფორმულირება მათი შემდგომი გაზომვის მიზნით;

5. რეკომენდირებულია, სილაბუსების „შესავალი საგარეო პოლიტიკის ანალიზში", „გენდერი და საერთაშორისო ურთიერთობები", „კავკასიის რეგიონი საერთაშორისო ურთიერთობებში" დემოკრატიული მმართველობა და კანონის უზენაესობა, სილაბუსების სათაური და შინაარსი იყოს შესაბამისობაში.

6. რეკომენდირებულია სასწავლო კურსის - საქართველოს საგარეო პოლიტიკის მიზნის და სწავლის შდეგის ნაწილის რეფორმულირება რომ შეესაბამებოდეს სწავლების საბაკალავრო საფეხურს;

7. რეკომენდირებულია, სილაბუსებში „კავკასიის რეგიონი საერთაშორისო ურთიერთობებში", „აზია-წყნარი ოკეანის რეგიონი მსოფლიო პოლიტიკაში"; „საერთაშორისო საჯარო სამართალი", „შესავალი საერთაშორისო უსაფრთხოებაში" ძირითადი და დამატებითი ლიტერატურა მითითებულ იქნას მითითების აკადემიური წესების დაცვით.

**აღნიშნული რეკომენდაციების აღმოფხვრა შესაძლებელია ექვსი თვიდან ერთი წლის შუალედში.**

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

1. სილაბუსი „საქართველოს ისტორია" მოიცავს საქართველოს ისტორიას უძველესი დროიდან გეორგიევსკის ტრაქტატამდე. **სასურველია,** სასწავლო კურსი მოიცავდეს საქართველოს ისტორიის ახალ და უახლესს პერიოდსაც ან საქართველოს ისტორიის ახალი და უახლესი პერიოდი დაემატოს ახალი არჩევითი სასწავლო კურსის სახით.
2. ზოგიერთ სილაბუსში ძირითად ლიტერატურად გამოყენებულია მხოლოდ ერთი რიდერი ან კონსპექტი. მაგ. სილაბუსებში: „აზია-წყნარი ოკეანის რეგიონი მსოფლიო პოლიტიკაში", „ლათინური ამერიკა მსოფლიო პოლიტიკაში". **სასურველია,** გამრავალფეროვნდეს სილაბუსების „აზია-წყნარი ოკეანის რეგიონი მსოფლიო პოლიტიკაში", „ლათინური ამერიკა მსოფლიო პოლიტიკაში" ძირითადი ლიტერატურა.

3. სასურველია გაგრძელდეს საქართველოში მოქმედ კვლევით და ანალიტიკურ ცენტრებთან პარტნიორული ურთიერთობების გაღრმავების პროცესები, რათა სტუდენტებს შეექმნათ საკუთარი ცოდნის გაფართოებისა და პრაქტიკაში გამოყენების კიდევ უფრო მეტი შესაძლებლობა.
4. სასურველია უზრუნველყოფილ იქნეს საერთაშორისო გაცვლით პროგრამებსა და პროექტებში კიდევ უფრო მეტი სტუდენტის ჩართულობა, რაც თავის მხრივ სამომავლოდ უზრუნველყოფს პროგრამის საერთაშორისო ურთიერთობების კვლევითი და პრაქტიკული კომპონენტის გაძლიერებას.
5. სასურველია, პროგრამის განვითარებისათვის უცხოელი ექსპერტებისგან იყოს მიღებული გარკვეული შეფასებები, მით უფრო რომ უნივერსიტეტს აქვს საკმაოდ მრავალფეროვანი საერთაშორისო კონტაქტები და მემორანდუმებით განსაზღვრული ურთიერთობები.
6. სასურველია სტუდენტების ხელშეწყობა საერთაშორისო სტაჟირებებზე, საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკის მიღების შესაძლებლობის უზრუნველყოფა

- საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)

ხაზგასასმელია ის მჭიდრო ურთიერთკავშირი, რომელიც არსებობს პროგრამის განმახორციელებელ პერსონალსა და სტუდენტებს შორის. აღნიშნული პრაქტიკა პროგრამის შემდგომი დახვეწისა და განვითარების წარმატებულ წინაპირობას წარმოადგენს, რაც თავის მხრივ სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების წახალისებისა და ცოდნის დაუფლების ეფექტიანი მექანიზმის შემუშავების მთავარ განმაპირობებელ ფაქტორს წარმოადგენს.

- ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

### მოსაზრებები უნივერსიტეტის არგუმენტირებული პოზიციის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა დაწესებულების არგუმენტირებული პოზიცია სტანდარტი 2 ქვესტანდარტი 2.2- ში გაცემულ რეკომენდაციის მესამე მოთხოვნასთან მიმართებით და დაეთანხმა დაწესებულებას რომ სასწავლო კურსი პოლიტიკური იდეოლოგიები არ უნდა იყოს სასწავლო კურსის დემოკრატიული მმართველობის და კანონის უზენაესობის წინაპირობა. დანარჩენ შემთხვევაში ექსპერტთა ჯგუფი ტოვებს მოცემული რეკომენდაციის ძირითად მოთხოვნებს, ვინაიდან მიაჩნია რომ სასწავლო კურსის პრერეკვიზიტი განსაზღვრავს როგორც ლოგიკურ თანმიმდევრობას, რაც სადავო არ არის, ამავე დროს უზრუნველყოფს ცოდნის ათვისების უწყვეტობას და აძლიერებს სტუდენტში მოტივაციას სასწავლო კურსის დაუფლების აუცილებლობის შესახებ.

ესპერტთა ჯფუფი ასევე დაეთანხმა დაწესებულების პოზიციას რომ სტანდარტი 2 ქვესტანდარტი 2.2 გაცემული რეკომენდაციის პირველი და მეხუთე მოთხოვნები იდენტურია, რაც ტექნიკური ხარვეზია და ექსპერტთა ჯგუფი იღებს ,,რეკომენდაცია 7“ ჩამონათვალიდან.

დანარჩენ შემთხვევაში ჯგუფი რჩება გაცემული რეკომენდაციების მოთხოვნებზე, ვინაიდან დაწესებულებას რაიმე დამატებითი მტკიცებულება ან არგუმენტი, რაც მოახდენდა ჯგუფის პოზიციის შეცვლას ვერ წარმოადგინა. კერძოდ, რეკომენდაცია 1, რომელიც ეხება სტანდარტი 1 ქვესტანდარტი 1.2. ექსპერტთა ჯგუფს არ აქვს რეკომენდაცია გაცემული რომ აუცილებელია სწავლის შედეგების დაჯგუფება მოხდეს ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს ძირითადი განმსაზღვრელი ელემენტების მიხედვით. რეკომენდაცია გულისხმობს ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს ძირითადი განმსაზღვრელი ელემენტების მიხედვით სწავლის შედეგების შინაარსობრივი მახასიათებლით რეფორმულირებას, რომ სწავლის შედეგების შეფასების პროცესში მოხდეს მათი მკაფიო აღქმა. უფრო მეტიც პროგრამაში წარმოდგენილი სწავლის შედეგების კომბინირებული ხასიათი (რაზეც დაწესებულების არგუმენტირებულ პოზიციაში განსაკუთრებული ხაზგასმაა) ართულებს მათ რეალურ გაზომვადობას. ექსპერტა ჯგუფი მიიჩნევს იმდენად რამდენადაც პროგრამის სწავლის შეფასებაში გამოიყენება პირდაპირი და არაპირდაპირი მეთოდების ერთობლიობა, ხოლო ეს უკანასკნელი ითვალისიწინებს დამსაქმებელების, კურსდამთავრებულების

და ა.შ. ჩართულობასაც, მათვის ვერ იქნება მკაფიო და აღქმადი სწავლების შედეგების შინაროსობრივი მახსიათთბელები, შესაბამისად გაჭირდება მათი რელევანტური შეფასება ან კიდევ შეფასების შედეგების გათვალისწინებით მოდიფიცირების შემთხვევაში აქცენტი ცოდნა-გაცნობიერების მიმრთულებით თუ უნარების გაძლიერების მიმართულებით უნდა გახდეს. აქედან გამომდინარე ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს რომ საჭიროა სწავლის შედეგების რეფორმულირება რომ ისიმი მკაფიოდ აღქმადი და შესაბამისად გაზომვადი იყოს, რომ შემდგომ გაუმჯობესების ცვლილებების იმპლიმენტაცია რეალური იყო. ამ კუთხით დაწესებულებას არ წარმოუდგენია რაიმე მყარი არგუმენტი გარდა იმისა რომ დაწესებულების პოზიცია ,,ვფიქრობთ, პროგრამის სწავლის შედეგების ისეთი ფორმულირება, როდესაც მიღებულ ცოდნასთან ერთად, ჩანს თუ რაში გამოიხატება და რა ტიპის კომპეტენციებს უკავშირდება აღნიშნული ცოდნის გამოყენება, აადვილებს და ხელს უწყობს პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებას განსაზღვრული სამიზნე ნიშნულების საშუალებით“ (გვ. 30). ან კიდევ ,,სწავლის შედეგების წარმოდგენილი, კომბინირებული სახით ფორმულირებისას..., ვიხელმძღვანელეთ პრინციპით, გვეჩვენებინა ცოდნის საფუძველზე, რა კონკრეტული შესაძლებლობები გააჩნია კურსდამთავრებულს“ . ან კიდევ **,,ჩვენი თვალსაზრისით, კრიტიკული ანალიზი წარმოადგენს კრიტიკული გააზრების სინონიმს (გვ.9).** შესაბამისად, არ ვთვლით ამ ზმნის გამოყენება რომ წარმოადგენს ხარვეზს და შეუსაბამოა ცოდნისა და გაცნობიერების შედეგთან“, ხაზგასმულია დაწესებულების არგუმენტირებულ პოზიციაში. რაცშიც ცხადია არ ვეთანხმებით ესპერთა ჯგუფი, ვინაიდან კრიტიკული ანალიზი და კრიტიკული გააზრება სხვადასხვა ცნებებია.

რეკომენდაციაზე სტანდარტი 1 ქვესტანდარტი 1.2 არსებული სარეკემონედაციო მოთხოვნაზე დაწესებულების არგუმენტირებულ პოზიციაში აღნიშნულია ,,პროგრამის სწავლის შედეგებში ავსახეთ პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის შედეგში მოაზრებული ის კომპეტენციები, რომელთა გამომუშავებასაც პროგრამის მრავლობითი კომპონენტის ფარგლებში, ფართოდ ვუზრუნველყოფთ და არ ავსახეთ **ის შედარებით სუსტად გამომუშავებული კომპეტენციები,** რომლებიც მხოლოდ ცალკეულ სასწავლო კურსში გვხვდება (გვ. 6). ეს ფრაზა ,,**სუსტად გამომუშავებული კომპეტენციები“** ექსპერტთა ჯგუფისთვის ცოტა გაუგებარია, მაშინ როცა სასწავლო კურსების სწავლის შედეგებში ისინი სათანადოდ არის წარმოჩენილი.

მე-6 რეკომენდაციაზე დავაზუსტებთ რომ საუბარია საბაკალვრო პროგრამაში მოცმელ სასწავლო კურსზე ,,საქართველოს საგარეო პოლიტიკა), რომლის სწავლის მიზანის და სწავლის შედეგების ნაწილი სამგისტრო დონის ამსახველია.

ყველა დანარჩენ რეკომენდაციაზე ესპერტთა ჯგუფმა არ გაიზიარა დაწესებულების არგუმენტირებული პოზიცია მათი სათანადო დასაბუთების არარსებობის გამო.

# პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. **საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა**
   პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

| 1.1 პროგრამის მიზნები |
| --- |
| პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული და რა წვლილი შეაქვს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>თვითშეფასების ანგარიშის და საბაკალავრო პროგრამის მიზნების მიხედვით შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამის მიზანია საერთაშორისო ურთიერთობების ბაკალავრის მომზადება, რომელიც აღჭურვილი იქნება ფართო თეორიული ცოდნითა და პრაქტიკული უნარებით, რომელიც მას საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში პროფესიული ფუნქციონირების/კარიერული წინსვლის და/ან მომდევნო საგანმანათლებლო საფეხურზე სწავლის გაგრძელების შესაძლებლობას მისცემს. ამავე დროს, პროგრამის მიზანი ასახავს, თუ რა უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენაა ის მიმართული, და აქედან გამომდინარე ცხადყოფს რა წვლილის შეტანის პოტენცია აქვს კურსდამთავრებულს საერთაშორისო ურთიერთობების როგორც აკადემიური და სამეცნიერო დარგის, ასევე საზოგადოების განვითარებაში, რაც პასუხობს უნივერსიტეტის მისიას. პროგრამის მიზნებში მკაფიოდ ჩანს საერთაშორისო ურთიერთობების დარგში რა კონკრეტული ფართო ცოდნის მქონე კურსდამთავრებულის მომზადებაზეა ორიენტირებული პროგრამა. შესაბამისად პროგრამის მიზანია საერთაშორისო ურთიერთობების დარგის თეორიული საფუძვლების, საბაზისო კვლევის განხორციელების სპეციფიკის, საერთაშორისო პოლიტიკური პროცესებისა და მათი ისტორიული კონტექსტის, ასევე, საერთაშორისო ურთიერთობების სუბდისციპლინებისა და საკვანძო საკითხების ფართო ცოდნის მიცემა სტუდენტებისათვის. პროგრამის კურიკულუმი, ასევე ითვალისწინებს დარგის ინტერდისციპლინარულ ბუნებას და აწვდის სტუდენტს საბაზისო ცოდნას მომიჯნავე დისციპლინებშიც. აღსანიშნავია, რომ პროგრამის მიზანი ლოგიკურად და ნათლად არის ჩამოყალიბებული, ორიენტირებულია დასაქმების ბაზარზე და მიღწევადია. შრომის ბაზრის და დამსაქმებელთა მოთხოვნის ანალიზის დოკუმენტების შესწავლამ გამოავლინა, რომ ბაზრის შესწავლა და დამსაქმებელთა მოთხოვნის წარმოდგენილი ანალიზი აჩვენებს საერთაშორისო ურთიერთობების ფართო ცოდნის მიმართულებით პროგრამის მნიშვნელობას და საჭიროებას. როგორც აღნიშნული დოკუმენტის შესწავლამ აჩვენა შრომის ბაზარზე არსებული მოთხოვნების შესახებ ინფორმაციის მოძიება და ანალიზი დაწესებულების მიერ განხორციელდა ოთხი მიმართულებით. პირველ რიგში, განხორციელდა საქართველოში ყველაზე გავრცელებული დასაქმების ვებგვერდებიდან შეგროვებული მონაცემების ანალიზი - მოძიებულ იქნა ინფორმაცია დარგში არსებული ვაკანსიებისა და შესაბამისი საკვალიფიკაციო მოთხოვნები. მეორე შემთხვევაში ანალიზი ეფუძნება 2019 წლის 10 იანვარს, საქრთველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტს (GIPA), შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტს, კავკასიის უნივერსიტეტს და აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტს შორის გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი საფუძველზე სოციალურ მეცნიერებათა ცენტრის მიერ ჩატარებულ საქართველოს შრომის ბაზრის ერთობლივ კვლევას. მესამე შემთხვევაში დარგის სპეციალისტებთან მიმართებით არსებული მოთხოვნების გაცნობისთვის დაწესებეულებამ გამოიყენა დამსაქმებლების მიერ შევსებული პროგრამის შეფასების კითხვარის შედეგები. და ბოლო შემთხვევაში შრომის ბაზრის ანალიზი ანალიზი ეფუძნება შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულის, კურსდამთავრებულთა დეპარტამენტის მიერ შეგროვებულ პროგრამის კურსდამთავრებულების დასაქმების ამსახველ რაოდენობრივ მონაცემებს. აღსანიშნავია, რომ ყველა მოცემული შემთხვევა აღნიშნული მონაცემები პრგორამის კურსდამთავრებულებთან მიმართებით შრომის ბაზარზე არსებული მოთხოვნის მაჩვენებელია. |

შრომის ბაზრის კვლევის წარმოდგენილი დოკუმენტით ჩანს, რომ საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამა ძირითადად მოიცავს იმ ცოდნასა და კომპეტენციებს, რაც დამსაქმებლების მიერ მოთხოვნილია მის კურსდამთავრებულებთან მიმართებით.

გასაუბრებამ აჩვენა, რომ რეაკრედიტაციისათვის წარმოდგენილი პროგრამა გაზიარებულია აკადემიური პერსონალის, ადმინისტრაციული პერსონალის, სტუდენტების, დამსაქმებელისა და კურსდამთავრებულების მიერ.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
ინტერვიუს შედეგები;
უნივერსიტეტის მისია;
შრომის ბაზრის ანალიზის დოკუმენტი;
დამსაქმებელთა გამოკითხვის შედეგების ანალიზი;
პროგრამა/კურიკულუმი;
შზსუ-ს ვებგვერდი - https://ibsu.edu.ge.

**რეკომენდაციები:**

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

√ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**
☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნასა და უნარებს, რაც სტუდენტს ექნება პროგრამის დასრულების შემდეგ. პროგრამის მიზნების და სწავლის შედეგების რუკის მიხედვით პროგრამის მიზნები დაკავშირებულია სწავლის შედეგებთან, სწავლის შედეგები კი შეესაბამება სწავლის საფეხურის აღმწერებს. კურიკულუმში წარმოდგენილ ყველა სავალდებულო სასწავლო კურსს თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით წვლილი შეაქვს პროგრამის დასახული მიზნების შესაბამისი სწავლის შედეგის მიღწევაში.

პროგრამის სწავლის შედეგების შესწავლამ აჩვენა რომ პროგრამის სწავლის შედეგად განისაზღვრა ათი შედეგი, რომლებიც ძირითადად თანხვედრაშია პროგრამის მიზნებთან. პროგრამის სწავლის შედეგები მეტწილად პასუხობს ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს მოთხოვნებს და ის ასახავს ცოდნას, უნარებს, პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, თუმცა მათი დაჯგუფება არ არის მოცემული ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს მოთხოვნის შესაბამისად. კერძოდ:

1. აღწერს საერთაშორისო ურთიერთობების თანამედროვე სამეცნიერო დისკურსის ძირითად მიმართულებებს, შეუძლია საერთაშორისო ურთიერთობების თეორიების შედარება და ანალიზი;

2. ახდენს საერთაშორისო ურთიერთობების ისტორიის ინტერპრეტირებას და შეუძლია თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობების ისტორიული კონტექსტის განსაზღვრა;

3. შეუძლია თეორიული საფუძვლების ინტერპრეტირება და დასკვნების ჩამოყალიბება დარგის უმნიშვნელოვანეს საკითხებსა და სუბდისციპლინებთან, ასევე, მომიჯნავე დისციპლინებთან მიმართებით;

4. დარგის თეორიული საფუძვლებისა და უმნიშვნელოვანესი ისტორიული და თანამედროვე მოვლენების ფართო ცოდნის საფუძველზე, შეუძლია საერთაშორისო პოლიტიკაში მიმდინარე მოვლენების, აქტორების ინტერესებისა და საერთაშორისო ურთიერთობებში ჩართულობის სპეციფიკის შეფასება; აღწერს თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობების უმნიშვნელოვანეს გამოწვევებს;

5. აღწერს ევროკავშირის სტრუქტურას, ინტეგრაციის ისტორიასა და თეორიულ საფუძვლებს; პოლიტიკის შემუშავებისა და განხორციელების მექანიზმებს, პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს; აანალიზებს ევროკავშირის, როგორც საერთაშორისო ურთიერთობების აქტორის როლს;

6. განმარტავს საქართველოს საგარეო პოლიტიკის მიმართულებებს, მათი შემუშავების სპეციფიკას; შეუძლია საგარეო პოლიტიკური სტრატეგიის, ქვეყნის წინაშე მდგარი გამოწვევებისა და შესაძლებლობების ანალიზი;

7. შეუძლია დარგობრივი კვლევის მეთოდოლოგიისა და მეთოდების ინტერპრეტირება, მათი შერჩევა კვლევის სპეციფიკიდან გამომდინარე, კვლევის დაგეგმვა და განხორციელება ხელმძღვანელის მითითებების საფუძველზე;

8. აანალიზებს განხორციელებული კვლევის შედეგებს; შეუძლია დასკვნების ჩამოყალიბება და კვლევითი ნაშრომის გაფორმება აკადემიური და ეთიკური სტანდარტების დაცვით;

9. შეუძლია წეროს და ისაუბროს თანმიმდევრულად და არგუმენტირებულად საერთაშორისო ურთიერთობების დარგთან დაკავშირებულ საკითხებზე;

10. შეუძლია სასურველი მიმართულებით ცოდნის გაღრმავების დაგეგმვა, საჭირო წყაროების იდენტიფიცირება, ინფორმაციის მოპოვება და ინტერპრეტირება, დამოუკიდებელი და ეფექტიანი დროის მართვა.

პროგრამის შედეგების ამგვარი დაჯგუფება, გაართულებს მათ რეალურ გაზომვადობას. კერძოდ, ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს მიხედვით კვალიფიკაციის სირთულის განმსაზღვრელი ელემენტებია „ცოდნა და გაცნობიერება,“ „უნარი“ და „პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა“. მიგვაჩნია, პროგრამის სწავლის შედეგების დაჯგუფება (მსგავსად სასწავლო კურსებისა, სასწავლო კურსების სილაბუსებში რატომღაც კურსის სწავლის შედეგები ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს მიხედვით კვალიფიკაციის სირთულის განმსაზღვრელი ელემენტების „ცოდნა და გაცნობიერება,“ „უნარი“ და „პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა“ მიხედვით არის დაჯგუფებული) უნდა მოხდეს საკვალიფიკაციო ჩარჩოს მოთხოვნების შესაბამისად, ვინაიდან კონკრეტული საკვალიფიკაციო ელემენტის გაზომვა უნდა მოხდეს შესაბამისი სამიზნე ნიშნულების მიხედვით. მართალია, პროგრამაში არის სწავლის შედეგების მიხედვით შესაბამისი ზოგადი/პირობითი სამიზნე ნიშნულები გაწერილი, მაგრამ სწავლის შედეგების შეფასება აღნიშნული ნიშნულებით გაჭირდება, ვინაიდან სწავლის შედეგები დაჯგუფებული არ არის ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს დონის განმსაზღვრელი ელემენტების მიხედვით. მაგალითად, სწავლების შედეგი 1; 2; 3; 5 და 6 ერთდროულად და შერეულად ასახვას ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს დონის განსაზღვრლ ელემენტს როგორიცაა ,,ცოდნა“ და „უნარი“. მაგალითად: შედეგი 1. აღწერს საერთაშორისო ურთიერთობების თანამედროვე სამეცნიერო დისკურსის ძირითად მიმართულებებს, **შეუძლია** საერთაშორისო ურთიერთობების თეორიების შედარება და **ანალიზი**; შედეგი 2. **ახდენს** საერთაშორისო ურთიერთობების ისტორიის ინტერპრეტირებას და **შეუძლია** თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობების ისტორიული კონტექსტის **განსაზღვრა**; 3. **შეუძლია** თეორიული საფუძვლების ინტერპრეტირება და **დასკვნების ჩამოყალიბება** დარგის უმნიშვნელოვანეს საკითხებსა და სუბდისციპლინებთან, ასევე, მომიჯნავე დისციპლინებთან მიმართებით; შედეგი 5 5. **აღწერს** ევროკავშირის სტრუქტურას, ინტეგრაციის ისტორიასა და თეორიულ საფუძვლებს; პოლიტიკის შემუშავებისა და განხორციელების მექანიზმებს, პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს; **აანალიზებს** ევროკავშირის, როგორც საერთაშორისო ურთიერთობების აქტორის როლს; შედეგი 6. **განმარტავს** საქართველოს საგარეო

პოლიტიკის მიმართულებებს, მათი შემუშავების სპეციფიკას; **შეუძლია** საგარეო პოლიტიკური სტრატეგიის, ქვეყნის წინაშე მდგარი გამოწვევებისა და შესაძლებლობების **ანალიზი**; აქედან გამომდინარე რეკომენდირებულია, პროგრამის სწავლის შედეგებში მკაფიოდ იყოს გამიჯნული ცოდნა და გაცნობიერების ნაწილები, რათა სწავლის შედეგები იყოს მკაფიო და გასაზომი.

იმდენად რამდენადაც პროგრამის სწავლის შედეგები სასწავლო კურსის სწავლის შედეგების განზოგადებული ნაწილია აუცილებელია მასში სრულად აისახოს და ნაჩვენები იყოს სასწავლო კურსების სწავლის შედეგების განზოგადებული ნაწილი. მით უფრო რომ სასწავლო კურსების სილაბუსების სწავლის შედეგები დაჯგუფებულია ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს განმსაზღვრელი ძირითადი ელემენტების: ცოდნა-გაცნობიერება, უნარები, ავტონომიურობა-პასუხისმგებლობის მიხედვით. მით უფრო რომ ზოგიერთ სილაბუსში სწავლის შედეგი გადის პასუხისმგებლობის ელემენტის ნაწილზე მაშინ როცა სასწავლო კურსის სწავლის შედეგების პასუხისმგლობის ნაწილი თითქმის არ არ არის ასახული პროგრამის სწავლის შედეგებში განზოგადებული სახით. მაგალითად: სასწავლო კურსი - **დემოკრატიული მმართველობა და კანონის უზენაესობა** - ,,იყენებს სამოქალაქო პასუხისმგებლობის გრძნობას კონსტრუქციულად და სწორად განსაზღვრავს ბალანსს საზოგადოებასა და სახელმწიფო ინტერესებს შორის“. სასწავლო კურსი - **საჯარო საერთშორისო სამართალი** - ,,იყენებს სამოქალაქო პასუხისმგებლობის გრძნობას კონსტრუქციულად და სწორად განსაზღვრავს დილემას საერთაშორისო სამართლის ნორმებსა და სახელმწიფო ინტერესებს შორის“. სასწავლო კურსი - **შესავალი საგარეო პოლიტიკის ანალიზში** - ,,სტუდენტს შეუძლია საკუთარი საქმიანობის ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებზე დაყრდნობით აკადემიური კეთილსინდისიერებისა და ეთიკის პრინციპების დაცვით განხორციელება (ethics and integrity)“. სასწავლო კურსი - **შესავალი საერთაშორისო უსაფრთხოებაში** - დაიცვან ეთიკური პრინციპები საკუთარ კვლევაში. სასწავლო კურს - **კვლევის მეთოდები სოციალურ მეცნიერებებში** - აანალიზებს მონაცემებს პროფესიული და ეთიკური ნორმების შესაბამისად; ახდენს აკადემიური პატიოსნების პრინციპებს ინტეგრირებას საკუთარ ანალიზში. სასწავლო კურსი - **საქართველოს საგარეო პოლიტიკა** - საქართველოს საერთაშორისო არენაზე ქცევის ნორმატიული თვალსაზრისით შეფასება და გაანალიზება, ასევე ძირითადი საერთაშორისო მოვლენებისა და გლობალურ დონეზე გადაწყვეტილების მიღების მიმართ თავისი დამოკიდებულებისა და პრინციპების დემონსტრირება; სასწავლო კურსი - **თეზისის წერა (პრაქტიკული კურსი)** - სტუდენტს შეუძლია საკუთარი საქმიანობის ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებზე დაყრდნობით აკადემიური კეთილსინდისიერებისა და ეთიკის პრინციპების დაცვით განხორციელება (ethics and integrity). აღნიშნულ სასწავლო კურსების სილაბუსებში სწავლის შედეგები გადის პასუხისმგებლობის ნაწილზე, რაც არ არის ნაჩვენები და განზოგადებული პროგრამის სწავლის შედეგებში. აქედან გამომდინარე აუცილებელია მოხდეს აღნიშნული სწავლის შედეგების განზოგადებული ასახვა პროგრამის სწავლის შედეგებში.

თვითშეფასების ჯგუფის მიერ მომზადებული ანგარიშის მიხედვით პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს. კერძოდ, პროგრამის შედეგების გაუმჯობესება ხდება აკადემიური პერსონალის, პოტენციური დამსაქმებლის, პროგრამის კურსდამთავრებულების და სტუდენტების კვლევისა და მათ მიერ გაკეთებული შეფასების საფუძველზე. როგორც გასაუბრების დროს პროგრამის ხელმძღვანელმა და პროგრამის განხორციელებაში ჩართულმა პერსონალმა აღნიშნა, სწორედ ურთიერთთანამშრომლობით შემუშაფვდა პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი, რომელიც შემუშავებულია შზსუ-ს პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ინსტრუქციის შესაბამისად. საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის შეფასება განხორციელდება საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელებისა და პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის მიერ, წინასწარ დადგენილ ვადებში დადგენილი მეთოდოლოგიით. პროგრამის შედეგების მიღწევის, ასევე შინაარსობრივი მხარისა და შეფასების მექანიზმების ეფექტურობის შეფასებაში, პროგრამის ხელმძღვანელთან ერთად, მონაწილეობს აკადემიური პერსონალიც. როგორც საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმების დოკუმენტიდან ჩანს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების შეფასება მოხდება პირდაპირი და არაპირდაპირი შეფასების მეთოდებით. არაპირდაპირი შეფასების მეთოდი მოიაზრებს დამსაქმებლების, კურსდამთავრებულებისა და სტუდენტების გამოკითხვას, კურიკულუმის ანალიზსა და შედარებას ანალოგიურ პროგრამებთან და სხვა. კითხვარების თავმოყრა და ანალიზი განხორციელდება პროგრამის ხელმძღვანელების მიერ, რომლებიც

მოახდენენ რეაგირებას პრობლემურ საკითხებზე ასეთის დაფიქსირების შემთხვევაში. პროგრამის შედეგების მიღწევის, ასევე შინაარსობრივი მხარისა და შეფასების მექანიზმების ეფექტურობის შეფასებაში, პროგრამის ხელმძღვანელებთან ერთად, მონაწილეობს აკადემიური პერსონალიც პირდაპირი შეფასების მეთოდი გულისხმობს სტუდენტების აკადემიური მოსწრების შეფასებას და მიღწეული შედეგების ანალიზს. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესში გამოიყენება შემდეგი სახის შეფასების ფორმები: პრეზენტაცია, ესსე, პროექტი (ამ შემთხვევაში, დამოუკიდებლად მოსამზადებელი დავალება, რომელიც მოიაზრებს მცირე კვლევის განხორციელებას) და საბაკალავრო ნაშრომი. პირდაპირი შეფასების განხორციელებისათვის, პროგრამის შემუშავებაში ჩართულმა პერსონალმა განსაზღვრა პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის თვალსაზრისით განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე სასწავლო კომპონენტები.

მარეგულირებლი დოკუმენტის მიხედვით პროგრამის შეფასებისთვის შერჩეულ სასწავლო კომპონენტებში გამოყოფილია სწავლის შედეგების მიღწევის შეფასებისათვის შერჩეული შეფასების კომპონენტები. მასში ასევე განსაზღვრულია რომელ შეფასების კომპონენტ(ებ)ზე განხორციელდება დაკვირვება სწავლის შედეგების შეფასებისათვის შერჩეული თითოეული სასწავლო კომპონენტის ფარგლებში; ასევე პროგრამით განსაზღვრული რომელი სწავლის შედეგები შეფასდება თითოეული შეფასების კომპონენტის საშუალებით. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევა იზომება, განსაზღვრული შემდეგი სამიზნე ნიშნულებით:1. სწავლის შედეგების მიღწევის თვალსაზრისით, დადებით მაჩვენებლად მიიჩნევა, თუ შესაბამის შეფასების კომპონენტებში სტუდენტების 60% ხვდება მაქსიმალური შეფასების 70%-100% ზღვრებში. ანალოგიურად, უარყოფით მაჩვენებლად ითვლება ნებისმიერი განსხვავებული შედეგი; 2. სწავლის შედეგების მიღწევის თვალსაზრისით, უარყოფით მაჩვენებლად მიიჩნევა, თუ სტუდენტების 40%-ზე მეტი მიიღებს არადამაკმაყოფილებელ (51%-ზე ნაკლები) შეფასებას; 3. სწავლის შედეგების მიღწევის თვალსაზრისით, უარყოფით მაჩვენებლად მიიჩნევა, თუ სტუდენტების 40%-ზე მეტი მიიღებს უმაღლეს (91-100%) შეფასებას. თითოეული სამიზნე ნიშნულიდან გადახვევის ნორმალური (მისაღები) დიაპაზონი 15%-ის ფარგლებშია. თითოეული სწავლის შედეგის მიღწევის შეფასება ხდება ცხრილ #2-ში მოცემული იმ შეფასების კომპონენტებში დაფიქსირებული მაჩვენებლების საშუალო არითმეტიკულით, რომელთაც აქვთ ეს შედეგი საერთო.

როგორც უნივერსიტეტის მარეგულირებელი დოკუმენტით ირკვევა პროგრამის გაუმჯობესებისთვის დაგეგმილია პროგრამის შეფასების და გაუმჯობესების მექანიზმი. კერძოდ, პირდაპირი და არაპირდაპირი შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გაუმჯობესების მიზნით. პირველ ეტაპზე, მოხდება შედეგების ანალიზი, მათი სამიზნე ნიშნულებთან დადარება და სწავლის შედეგების მიღწევადობის ხარისხის გამორკვევა. იმ შემთხვევაში, თუ შეფასების შედეგად გამოვლენილია სუსტად მიღწევადი სწავლის შედეგები, მოხდება პროგრამის და/ან სასწავლო კომპონენტების ცვლილების ინიცირება სპეციფიური ცოდნისა და კომპეტენციების გამომუშავების აქცენტირების მიზნით. შესაბამისი ფაქტობრივი მონაცემების შეგროვებისა და მათზე დაკვირვების შედეგად მოხდება რეაგირება სამიზნე ნიშნულებიდან გადახრის ნორმალური დიაპაზონის დარღვევის შემთხვევაში. კერძოდ, განსაზღვრული სამი სამიზნე ნიშნულებიდან სულ მცირე ორი ნიშნულის შემთხვევაში წინასწარ დადგენილ ნორმალურ დიაპაზონზე მეტი გადახრის დაფიქსირებისას, პროგრამის სწავლის შედეგ(ებ)თან მიმართებით, გადაიხედება სწავლის შედეგები და მისი მიღწევის გზები. შეფასება ძირითად ხდება სტუდენტთა, აკადემიური პერსონალის, მასწავლებლის, მასწავლებელთა და დამსაქმებელთა გამოკითხვით, რისთვისაც შემუშავებულია შესაბამისი კითხვარი. როგორც მარეგულირებელი დოკუმენტებიდან ირკვევა სტუდენტის მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების კითხვარი იძლევა შესაძლებლობას სტუდენტმა თავისი მოსაზრება დააფიქსიროს როგორც სასწავლო პროცესის, ასევე, საგანმანათლებლო პროგრამის შინაარსის, ადამიანური, მატერიალური და საინფორმაციო რესურსის შესახებ. იგი მოიცავს კითხვებს საკონტაქტო და დამოუკიდებელი მეცადინეობების საათების რაოდენობების და მათი შეფარდების, დამხმარე სერვისებისა და მათი ხელმისაწვდომობის, აკადემიური პერსონალის კვალიფიკაციისა და კონსულტაციების, სწავლებისა და შეფასების მეთოდებისა და სხვა საკითხების შესახებ. შეფასების განხორციელების პროცესში ანონიმურობა მაქსიმალურად არის დაცული, რაც სტუდენტებს აძლევს საშუალებას თავისუფლად და დამოუკიდებლად დააფიქსირონ საკუთარი მოსაზრებები.

მარეგულირებელ წესში გაწერილია სასწავლო პროცესის და პროგრამის შეფასების შედეგების ანალიზი, რომელიც ხორციელდება უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის, პროგრამის ხელმძღვანელების, ფაკულტეტის პერონალის და სხვა პირების ჩართულობით.

| |
|---|
| გასაუბრების დროს დადასტურდა რომ ანალიზის პროცესი მოიცავს შესაბამისი დოკუმენტაციის გაანალიზებას; გამოვლენილი ხარვეზების აღმოფხვრის და პოზიტიური ფაქტორების დანერგვის გამოცდილების ურთიერთგაზიარებას; ზოგადად ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ახორციელებს უნივერსიტეტში მიმდინარე პროცესების შეფასებას და შედეგებს წარუდგენს უნივერსიტეტის რექტორს მიღებულ შედეგებზე დროული რეაგირების მიზნით. ასევე შეფასების პროცესისთვის იქმნება დაკვირვების ჯგუფი, ფაკულტეტის საბჭოს მარეგულირებელი წესით განსაზღვრულ ფარგლებში ჩართულია შეფასების პროცესში. გასაუბრების დროს დადასტურდა რომ ხდება გამოვლენილი ხარვეზების აღმოფხვრისა და საგანმანთლებლო პროგრამის შემდგომ დახვეწასთან დაკავშირებით შესაბამისი რონისძიებების გატარება.<br>შეფასების შედეგად შეიძლება განხორციელდეს ცვლილებები სასწავლო კურს(ებ)ის შინაარსში, მის წინაპირობებში, სასწავლო კურსების თანმიმდევრობაში, შეიძლება დაემატოს ან ამოღებულ იქნას სასწავლო კურს(ებ)ი, ცვლილებები შევიდეს სტუდენტების საკონსულტაციო სერვისებში, პროგრამის სწავლის შედეგებში, შეფასების მექანიზმსა და ა.შ. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br>საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები<br>შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ინსტრუქცია<br>ინტერვიუს შედეგები<br>შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზის დოკუმენტი<br>თვითშეფასების დოკუმენტი<br>პროგრამის სწავლის შედეგების შედგენაში ჩართული დაინტერესებული პირების მონაწილეობის დამადასტურებელი დოკუმენტი<br>საგანამანთლებლო პროგრამა |
| **რეკომენდაციები:**<br>რეკომენდებულია, ცოდნა და გაცნობიერების, უნარების, ავტონომიურობისა და პასუხისმგებლობების ნაწილები ნათლად იყოს წარმოდგენილი პროგრამაში, რათა პროგრამის პროგრამის სწავლის შედეგები იყო მკაფიო და გაზომვადი.<br>რეკომენდირებულია პროგრამის სწავლის შედეგებში აისახოს პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის ნაწილი, რათა ის შეესაბამებოდეს მოვიდეს სავალდებულო სასწავლო კურსებში (დემოკრატიული მმართველობა და კანონის უზენაესობა; საჯარო საერთშორისო სამართალი; შესავალი საგარეო პოლიტიკის ანალიზში; შესავალი საერთაშორისო უსაფრთხოებაში; კვლევის მეთოდები სოციალურ მეცნიერებებში; საქართველოს საგარეო პოლიტიკა; თეზისის წერა (პრაქტიკული კურსი), გაწერილ პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის სწავლის შედეგებთან. |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br>o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br>o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) |
| **შეფასება**<br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br>☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>√ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**<br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

## პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | | | |

## 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

### 2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამაზე ჩარიცხვა ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. პროგრამაში გაწერილია პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, რომლებიც სხვადასხვა პირობას მოიცავს. კერძოდ: პროგრამაზე ჩარიცხვის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატის/ატესტატის ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტის მქონე პირს, ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე. ხოლო ერთ-ერთი ჩასაბარებელი სავალდებულო საგნებია: ისტორია ან მათემატიკა.

საბაკალავრო პროგრამაზე მობილობის წესით ჩარიცხვა შესაძლებელია წელიწადში ორჯერ, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად დადგენილ ვადებში, სავალდებულო პროცედურებისა და უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესების დაცვით.

კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში ჩარიცხვა ასევე შესაძლებელია კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად, ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარების გარეშე.

პროგრამაზე ჩარიცხვა, ან გადმოყვანის წესით ჩარიცხვა უცხო ქვეყნის აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გადაწყვეტილების საფუძველზე.

პროგრამა და შესაბამისად პროგრამაზე ჩარიცხვის წინაპირობები განთავსებულია უნივერსიტეტის ვებგვერდზე და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისთვის. ინფორმაციის გავრცელება აგრეთვე ხდება სოციალური ქსელის მეშვეობით და სატელეფონო და ელექტრონული ფოსტის საშუალებით ხდება დაინტერესებული კანდიდატების კონსულტაცია.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

თვითშეფასების ანგარიში;

საგანმანათლებლო პროგრამა;

ინტერვიუს შედეგები ფაკულტეტის დეკანთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, თვითშეფასების ჯგუფთან.

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

**შეფასება**

√ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

საგანმანათლებლო პროგრამა შედგენილია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის, დაწესებულებაში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების მეთოდოლოგიის და ევროპული კრედიტების ტრანსფერების სისტემის შესაბამისად. თვითშეფასების ჯგუფის ანგარიშის მიხედვით შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან. პროგრამის შესწავლამ აჩვენა რომ პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს.

თვიშეფასების ანგარიშის მიხედვით საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამის სასწავლო კურსები ერთიან კონტექსტში მოიაზრება. განსაკუთრებული ყურადღება მათ ლოგიკურ თავსებადობასა და თანმიმდევრობას ეთმობა, რაც ძირითადად უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. საგანამათლებლო პროგრამის მიხედვით პროგრამის საწყის ეტაპზე სტუდენტები ეცნობიან საგნებს, რომლებიც უზრუნველჰყოფენ უფრო მეტად სწავლის შედეგების გაცნობით დონეზე გაყვანას, შემდგომ ეტაპზე სტუდენტები ეცნობიან საგნებს, რომლებიც ორიენტირებულია სწავლის შედეგების გაღრმავებაზე, ხოლო პროგრამის დასკვნით ეტაპზე წარმოდგენილი სავალდებულო დასკვნითი კომპონენტები ხელს უწყობენ სტუდენტების ცოდნისა და უნარ-ჩვევების განმტკიცებას. შესაბამისად პირველი ოთხი სემესტრი უმეტესწილად ემსახურება დარგის და ასევე, მისი ინტრდისციპლინარული ბუნებიდან გამომდინარე, მისი მომიჯნავე დისციპლინების თეორიული საფუძვლების გაცნობას, ასევე დარგის ისტორიის გაცნობას. მეოთხე სემესტრიდან იწყება და მეხუთე-მერვე სემესტრებში ინტენსიურად გრძელდება დარგის ძირითადი საკითხების, აქტორების, მიმდინარე პროცესებისა და გამოწვევების შესწავლა. დამამთავრებელ სემესტრში გათვალისწინებულია საბაკალავრო ნაშრომის მომზადება რომლიც მოიცავს 10 კრედიტს.

პროგრამის სტრუქტურის შესწავლამ და გასაუბრებამ აჩვენა საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამა ოთხწლიანია და შედგება რვა სემესტრისგან. შესაბამისი კვალიფიკაციის მინიჭებისათვის სტუდენტმა უნდა დააგროვოს 240 კრედიტი.საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამის კრედიტების მოცულობა შემდეგნაირადაა განაწილებული:სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსები 120 კრედიტი (მათ შორის, 10 კრედიტი საბაკალავრო ნაშრომი);აკარემიური წერა - 5 კრედიტი; ინფორმაციული ტექნოლოგიები - 5 კრედიტი; უცხო ენები - 30 კრედიტი სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსები - 20 კრედიტი; თავისუფალი კომპონენტი - 60 კრედიტი: თავისუფალი კრედიტების ფარგლებში ტუდენტი ირჩევს

| |
|---|
| უნივერსიტეტის შესაბამისი საფეხურის ნებისმიერ სასწავლო კურსს წინაპირობების დაცვით და/ან დამატებით პროგრამას.<br>საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამის მიხედვით, პროგრამის სასწავლო გეგმით, განსაზღვრულია პროგრამის სასწავლო კომპონენტებზე (სასწავლო კურსები, საბაკალავრო ნაშრომი) დაშვების წინაპირობები, სასწავლო კომპონენტების თანმიმდევრობა, სასწავლო კურსების სემესტრული განაწილება, სტუდენტის სემესტრული დატვირთვა (დეტალები პროგრამის სტრუქტურის, მოცულობის, სასწავლო კურსების წინაპირობებისა და თანმიმდევრობის შესახებ იხილეთ თანდართულ დოკუმენტში - საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამა). იმ საგნების გასავლელად, რომლებსაც გააჩნიათ დაშვების წინაპირობა სტუდენტი დაიშვება მხოლოდ პრერეკვიზიტად მითითებულ საგანში დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში.<br>თუმცა, ამ კუთხით პროგრამის და სასწავლო კურსების სილაბუსების შესწავლამ აჩვენა, რომ პროგრამის სპეციალობის 23 სავალდებულო სასაწვლო კურსიდან, წინაპირობები წარმოდგენილია მხოლოდ 9 სასწავლო კურსში, მაშინ როცა პროგრამაში მოცემული სასწავლო კომპონეტები შინაარსობრივად ავლენენ პრერეკვიზიტების მიხედვით თანმიმდევრულად და ლოგიკურად დალაგების აუცილებოლას,. ვინაიდან პრერეკვიზიტი არის არა მარტო ლოგიკურად და თანმიდევრულად დალაგების, არამედ ის სტუდენტისთვის ცოდნის უწყვეტობის და ათვისების საფუძვლს ქმნის. მაგალითად სასწავლო კურსის პოლიტიკური აზრის ისტორია უნდა იყოს წინა პირობა სასწავლო კურსის პოლიტიკური იდეოლოგიების საფუძვლები, ხოლო სასწავლო კურსი მსოფლიო ისტორიის მიმოხილვა უნდა იყოს წინაპირობა სასწავლო კურსის საერთაშორისო ურთიერთობების ისტორია.<br>საერთაშორისო ურთიერთოებების საბაკალავრო პროგრამის წარმოდგენილი შინაარსი, მოცულობა და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის საფეხურის შესაბამის განათლებას (ბაკალავრიატი) და პროგრამით მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან (საერთაშორისო ურთიერთობების ბაკალავრი) შესაბამისობას. პროგრამის შემუშავებაში ჩართულია ყველა დაინტერესებული მხარე (აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული პერსონალი, სტუდენტი, კურსდამთავრებული, დამსაქმებელი და სხვა); |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br>საგანამანთლებლო პროგრამა<br>თვითშეფასების ანგარიში<br>ინტერვიუს შედეგები<br>სასწავლო კურსის სილაბუსები |
| **რეკომენდაციები:**<br>რეკომენდირებულია, ცალკეულ სასწავლო კურსებს ჰქონდეთ დაშვების წინაპირობები, რათა ისინი იყვნენ არა მარტო ლოგიკურად და თანმიდევრულად დალაგებულნი, არამედ მან შექმნას სტუდენტისთვის ცოდნის უწყვეტობის და ათვისების საფუძვლიც. (მაგალითად, პოლიტიკური აზრის ისტორია უნდა იყოს პოლიტიკური იდეოლოგიების საფუძვლების წინაპირობა, ასევე სასწავლო კურსი მსოფლიო ისტორიის მიმოხილვა უნდა იყოს წინაპირობა სასწავლო კურსის საერთაშორისო ურთიერთობების ისტორია. |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br>o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br>o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) |
| **შეფასება**<br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br>☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>√ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**<br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

## 2.3. სასწავლო კურსი

- ძირითადი სფეროს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის/საგნის/მოდულის/კონცენტრაციის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

თვითშეფასების ჯგუფის ანგარიშის მიხედვით პროგრამის სასწავლო კურსები (სავალდებულო და არჩევითი) შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს. პროგრამის სასწავლო კომპონენტის სავალდებულო სასწავლო კურსების შესწავლამ და წარმოდგენილმა კურიკულიუმის რუკამ აჩვენა, რომ სავალდებულო სასწავლო კურსები უზრუნველყოფენ მითითებული პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას სტუდენტებისათვის უნარების მიმართულებით. საკუთრივ პროგრამის შედეგებში კონკრეტულად ჩანს თუ დარგის რა ფართო ცოდნის მქონე კურსდამთავრებულის მომზადებაზეა ორიენტირებული პროგრამა. აქედან გამომდინარე, პროგრამის სწავლის შედეგები ასახავს სასწავლო კურსის სწავლის შედეგებს.

კურუკულუმის და სასწავლო კურსების სილაბუსების შესწავლამ, ისევე როგორც გასაუბრებამ აჩვენა, რომ კურსების საკრედიტო მოცულობა უზრუნველყოფს თითოეული კურსით გათვალისწინებული თემების დაუფლებას. თითოეული სასწავლო კურსისთვის გამოყოფილი კრედიტების რაოდენობა (საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების რაოდენობა) შეესაბამება ამ კურსის შინაარსსა და სწავლის შედეგებს. მათი გადანაწილებისას მხედველობაში მიიღება სტუდენტის მიერ სასწავლო კურსის ფარგლებში მოსამზადებელი დავალებების მოცულობა და სირთულე, ასევე სწავლება-სწავლის მეთოდებისა და სასწავლო კურსის ფარგლებში შეთავაზებული ლიტერატურის მოცულობა. ასევე, საკონტაქტო და დამოუკიდებელ საათებს შორის თანაფარდობა ადეკვატურია და ითვალისწინებს კურსის სპეციფიკას.

სილაბუსებში გაწერილი ლიტერატურა, ძირითადად პასუხობს სილაბუსით გაწერილ თემებს, ხოლო სასწავლო კურსის/საგნის/მოდულის/კონცენტრაციის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს.

სილაბუსების შესწავლამ აჩვენა, რომ მასში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

სასწავლო კურსების შესწავლამ მასში გამოავლინა ტექნიკური და შინარსობრივი ხარვეზები. შინაარსობრივ ხარვეზი მოიცავს სასწავლო კურსების სწავლის შედეგების და მიზნების ფორმულირებას., ასევე სასწავლო კურსის სილაბუსის დასახელებას და შინარას შორის განსხვავებას, ლიტერატურის მითითებას.

ზოგიერთ სილაბუსში შეკითხვას ბადებს სილაბუსის სათაური და თემატიკის შესატყვისობა. მაგ. სილაბუსის „შესავალი საგარეო პოლიტიკის ანალიზში" შინაარსი ერთგვარი ჰიბრიდია საერთაშორისო ურთიერთობების თეორიის, საერთაშორისო უსაფრთხოებისა და საერთაშორისო პოლიტიკის. სათაურის შესატყვისი თეორიული საკითხები (მაგ. გადაწყვეტილების მიღების მექანიზმები, მოდელები, ეტაპები) სილაბუსში არ გვხვდება. ვფიქრობთ, სათაურის შესატყვისი თეორიული საკითხების დამატება სილაბუსის შინაარსს მეტად შესატყვისს გახდის სათაურთან. სილაბუსში „გენდერი და საერთაშორისო ურთიერთობები" შინაარსის დიდი ნაწილი ეთმობა გენდერის ზოგად მიმოხილვას და საერთაშორისო ურთიერთობების თეორიების გენდერული ხედვა მხოლოდ მე-7 კვირიდან იწყება. ვფიქრობთ, თემატიკის დაბალანსება სილაბუსს უფრო შესატყვისს გახდის სათაურთან. სილაბუსში „კავკასიის რეგიონი საერთაშორისო ურთიერთობებში" კურსის თემატიკაში გვხვდება რუსეთ-უკრაინის ომიც. რეკომენდირებულია, სილაბუსების „შესავალი საგარეო პოლიტიკის ანალიზში", „გენდერი და საერთაშორისო ურთიერთობები", „კავკასიის რეგიონი საერთაშორისო ურთიერთობებში" სილაბუსის სათაური და შინაარსი გახდეს ურთიერთშესატყვისი სათაურის შეცვლით ან შინაარსის განახლებით. ასევე სასწავლო კურსის დემოკრატიული მმართველობა და კანონის უზენაესობა, თავისი შინაარსით და მითითებული ლიტერატურით უფრო არის სახელმწიფოსა და სამართლის თეორიის შინარსიის შეცვლელი, მით უფრო კურსის მიზანიც არის ,,გააცნოს სტუდენტებს სახელმწიფოსა და სამართლის საფუძვლები, სამართლის ძირითადი პრინციპები, დემოკრატიული მმართველობა და სახელმწიფო ინსტიტუტები", ეს უკანასკნელი ნაიწლი ნაკლებად არის ასახული სასწავლო კურსის შინაარსში.

შესაბამისად სასწავლო კურსის სწავლის შედეგებიც უნდა ასახავდეს დასახულ მიზანს და კურსის შინაარსს. აქედან გამომდინარე, აუცილებელია სასწავლო კურსის მოდიფიკაცია მიზნების და შედეგების ნაწილში მოერგოს ან სასწავლო კურსის შინაარს, ან მოხდეს სასწავლო კურსის დასახელების ცვლილება სასწავლო კურსის შინარსიის შესაბამისად.

ზოგიერთ სილაბუსში ფიქსირდება ძირითად და დამატებით ლიტერატურაში მითითების აკადემიური წესების დარღვევა. მაგ. სილაბუსში „კავკასიის რეგიონი საერთაშორისო ურთიერთობებში" ძირითად ლიტერატურის ჩამონათვალში არ აღიქმება რა ტიპის ლიტერატურაა (სტატია, წიგნი...), გამოცემის წელი და ზოგიერთ სილაბუსში ინგლისურენივანი ლიტერატურა მითითებულია ქართულად, რაც ართულებს აღქმას, კონკრეტულად რომელი სახელმძღვანელო იგულისხმება (ინგლისურენოვანი წიგნი თუ უსდ მიერ შესრულებული თარგმანი). მაგ, დამატებითი ლიტერატურა სილაბუსში „აზია-წყნარი ოკეანის რეგიონი მსოფლიო პოლიტიკაში"; ძირითადი ლიტერატურა სილაბუსში „საერთაშორისო საჯარო სამართალი", ძირითადი ლიტერატურა სილაბუსში „შესავალი საერთაშორისო უსაფრთხოებაში". რეკომენდირებულია, სილაბუსებში „კავკასიის რეგიონი საერთაშორისო ურთიერთობებში", „აზია-წყნარი ოკეანის რეგიონი მსოფლიო პოლიტიკაში"; „საერთაშორისო საჯარო სამართალი", „შესავალი საერთაშორისო უსაფრთხოებაში" ძირითადი და დამატებითი ლიტერატურა მითითებულ იქნას მითითების აკადემიური წესების დაცვით.

სილაბუსი „საქართველოს ისტორია" მოიცავს საქართველოს ისტორიას უძველესი დროიდან გეორგიევსკის ტრაქტატამდე. სასურველია, სასწავლო კურსი მოიცავდეს საქართველოს ისტორიის ახალ და უახლესს პერიოდსაც ან საქართველოს ისტორიის ახალი და უახლესი პერიოდი დაემატოს ახალი არჩევითი სასწავლო კურსის სახით.

ზოგიერთ სილაბუსში ძირითად ლიტერატურად გამოყენებულია მხოლოდ ერთი რიდერი ან კონსპექტი. მაგ. სილაბუსებში: „აზია-წყნარი ოკეანის რეგიონი მსოფლიო პოლიტიკაში", „ლათინური ამერიკა მსოფლიო პოლიტიკაში". სასურველია, გამრავალფეროვნდეს სილაბუსების „აზია-წყნარი ოკეანის რეგიონი მსოფლიო პოლიტიკაში", „ლათინური ამერიკა მსოფლიო პოლიტიკაში" ძირითადი ლიტერატურა.

სასწავლო კურსების სწავლის შედეგების ნაწილში აღრეულია ცოდნა და გაცნობიერების და უნარების განმსაზღვრელი შედეგები. მაგალითად სასწავლო კურსში ,,პოლიტიკური აზრის ისტორია: ცოდნა გაცნობიერებაში - ,,აღწერს პოლიტიკურ თუ სოციალურ წესრიგთან დაკავშირებულ საკითხებს, რომელსაც ამა თუ იმ ეპოქის პოლიტიკური მოაზროვნე **განიხილავს და აანალიზებს** თითოეული მათგანის მიერ შემოთავაზებულ გზებს პოლიტიკური პრობლემების გადასაწყვეტად; სხვადასხვა ეპოქაში შექმნილი პოლიტიკური მოძღვებების შესწავლისას **ადგენს** თუ როგორ იცვლება პოლიტიკურ მოაზროვნეთა ნაშრომებში წარმოდგენილი შეხედულებები ისეთ საკითხებთან დაკავშირებით თუ რა არის სამართლიანობა; როგორი უნდა იყოს სახელმწიფო ძალაუფლების საზღვრები, ასევე, ურთიერთობები სახელმწიფოსა და მასში მცხოვრებ ინდივიდებს შორის და სხვა; სასწავლო კურსში დემოკრატიული მმართველობა და კანონის უზენაესობა - ცოდნა გაცნობიერება - **შეუძლია გაანალიზოს** დემოკრატიისა და კანონის უზენაესობის პრაქტიკული და თეორიული ასპექტები; ასევე იცნობდეს მთავარ აქტორებს, როგორიცაა სახელმწიფო, საერთაშორისო ორგანიზაცია, სამოქალაქო საზოგადოება და ინდივიდი; სასწავლო კურსში შესავალო პოლიტიკურ მეცნიერებაში - განიხილავს პოლიტიკური მეცნიერებების ძირითად თეორიებსა და კონცეფციებს; **გაანალიზებს** სახელმწიფოს არსს და მასთან დაკავშირებულ თეორიებს, განსხვავებას პოლიტიკურ რეჟიმებსა და პოლიტიკურ ინსტიტუტებს შორის და მათ გავლენას პოლიტიკურ შედეგებზე; სასწავლო კურსში - შესავალი საერთაშორისო ურთიერთობების თეორიაში - **შეძლებს იმსჯელოს** საერთაშორისო ურთიერთობების თეორიების მიერ განხილულ ისეთ საკითხებზე, როგორიცაა მსოფლიო წესრიგი, ძალის როლი, კონფლიქტის წყაროები და თანამშრომლობის შესაძლებლობები საერთაშორისო ურთიერთობებში. სასწავლო კურსში - საერთაშორისო ორგანიზაციები - კურსის გავლის შედეგად, სტუდენტი **აანალიზებს** საერთაშორისო ორგანიზაციებს როლს მსოფლიო პოლიტიკაში; შეუძლია ორგანიზაციების კლასიფიკაცია, ასხვავებს ორგანიზაციებს როგორც გეოგრაფიული დაფარვის (საერთაშორისო/რეგიონული/სუბ-რეგიონული), ასევე კომპეტენციების მიხედვით (უნივერსალური/სპეციალიზირებული); ახდენს ორგანიზაციების ფუნქციონირებასთან დაკავშირებული ძირითადი **პრობლემების იდენტიფიცირებას.** სასწავლო კურსში - საერთაშორისო პოლიტიკა - კურსის გავლის შედეგად, სტუდენტი აანალიზებს მსოფლიო პოლიტიკაში მიმდინარე პროცესების კომპლექსურ ხასიათს, აკავშირებს ისტორიულ და

| |
|---|
| თანამედროვე მოვლენებს ერთმანეთთან, ახდენს საკვანძო აქტორების იდენტიფიცირებას და გამოყოფს ძირითად ტენდენციებს. სასწავლო კურსი - შესავალი საერთაშორისო უსაფრთხოებაში - **აანალიზებენ** საერთაშორისო უსაფრთხოების სფეროს დღის წესრიგისა და პროცესებს; საერთაშორისო უსაფრთხოების ძირითად ბერკეტებს; განმარტავენ გლობალური უსაფრთხოების ძირითად ცნებებს და კონცეფციებს; „უსაფრთხება და თავისუფლება" დისკურსს; განსაზღვრავენ ქვეყნებს შორის თანამშრომლობის მნიშვნელობას; აღწერენ უნიპოლარული, ბიპოლარული და მულტიპოლარული საერთაშორისო სისტემის უსაფრთხოების გამოწვევებს; **მსჯელობენ** ევროპის უსაფრთხოების წინაშე არსებულ ძირითად გამოწვევებზე. სასწავლო კურსში - შესავალი საგარეო პოლიტიკის ანალიზში- - სტუდენტს შეუძლია გამოკვეთოს ის ძალები, რომლებიც გეგმავენ და ახორციელებენ საგარეო პოლიტიკასა და დიპლომატიას. - შეუძლია საგარეო პოლიტიკის სფეროსთვის **საჭირო მონაცემების შეგროვება,** ჩამოთვლა და განმარტება (data collection and interpretation), ასევე განყენებული მონაცემების ან/და **სიტუაციების ანალიზი სტანდარტული და ზოგიერთი უახლესი მეთოდის გამოყენებით**. სასწავლო კურსში - საქართველოს საგარეო პოლიტიკა- **მსჯელობს** საქართველოს საგარეო პოლიტიკის შემუშავების მექანიზმებთან, გადაწყვეტილების მიღების სამოტივაციო დრაივერებთან და განხორციელების გამოწვევებთან დაკავშირებით, ასევე თეორიულ მიდგომების მეშვეობით განმარტონ საქართველოს საერთაშორისო დონეზე ქცევა; ახდენს საგარეო პოლიტიკის შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესისა და მისი როგორც საგარეო ასევე, შიდა დეტერმინანტების ინტერპრეტირებას; · განმარტავს საქართველოს საგარეო პოლიტიკის ძირითად პრიორიტეტებს სხვადასხვა ლიდერების პირობებში; სხვადასხვა პოლიტიკური ინსტიტუტის (მთავრობა, საგარეო საქმეთა სამინისტრო, უშიშროების საბჭო, პარლამენტი, პრეზიდენტი და სხვ.) როგორც საშინაო, ასევე საგარეო-პოლიტიკურ ასპარეზზე საქმიანობის, მათი უფლება-მოვალეობებისა და საქმიანობის ძირითადი მიმართულებების **ანალიზის უნარი**; საქართველოს მაგალითზე საგარეო საფრთხეების პირობებში გადარჩენის მიზნით პატარა და სუსტი სახელმწიფოს ქცევის რაციონალობის და ამ მიზნით შემუშავებული უსაფრთხოების სტრატეგიების **ახსნის უნარი.** აუცილებელია რეფორმულირება მოხდეს სასწავლო კურსების სწავლის შედეგების ცოდნა-გაცნობიერების ნაწილში.<br>სასწავლო კურსის - საქართველოს საგრეო პოლიტიკის მიზანია ,,კურსის მიზანია სტუდენტებს შესძნოს **სიღრმისეული ცოდნა** საქართველოს დამოუკიდებლობის დღიდან საგარეო პოლიტიკის ჩამოყალიბების, პრიორიტეტების დადგენისა და ფაქტორების განსაზღვრის შესახებ, რომლებიც ზეგავლენას ახდენენ გადაწყვეტილების მიღების პროცესზე...", რაც სამაგისტრო დონის განაცხადია. აუცილებელია მოხდს სასწავლო კურსის მიზნის რეფორმულირება საბაკალავრო დონის შესაბამისად. ან კიდევ სწავლის შედეგში ,,-იყენებს შემეცნებით და პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს, მათ შორის რომლებიც დამახასიათებელია საგარეო პოლიტიკის ანალიზისათვის, ასევე რაც მოიცავს **რთული და გაუთვალისწინებელი პრობლემების გადასაჭრელად** პრაქტიკულ საქმიანობას;".<br>სასწავლო კურსებში სწავლის შედეგები გაყოფილია ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს - ცოდნა-გაცნობიერების, უნარების, პასუხისმგებლობის და ავტონომიურობის განმსაზღვრელი ელემენტების მიხედვით. მაშინ როცა პროგრამის სწავლის შედეგები არ არის დაჯგუფებული ცოდნა-გაცნობიერების, უნარების და ავტონომიურობის და პასუხისმგებელობის მიხედვით და წარმოდგენილია შერეული ფორმით, რაც მათ გაზომვადობას გაართულებს. აუციელებლია სასწავლო კურსების და პროგრამის სწავლის შედეგების ფორმულირება მოხდეს ცოდნა-გაცნობიერების, უნარების, პასუხისმგებლობის და ავტონომიურობის განმსაზღვრელი ელემენტების მიხედვით. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br>პროგრამის თვითშეფასების ანაგარიში<br>საგანამანთლებლო პროგრამა<br>სასწავლო კურსის სილაბუსები |
| **რეკომენდაციები:**<br>რეკომენდირებულია სასწავლო კურსების - პოლიტიკური აზრის ისტორია, საერთაშორისო პოლიტიკა, დემოკრატიული მმართველობა და კანონის უზენაესობა, შესავალო პოლიტიკურ მეცნიერებაში, საერთაშორისო ორგანიზაციები, საერთაშორისო უსაფრთხოებაში, შესავალი საგარეო პოლიტიკის ანალიზში, საქართველოს საგარეო პოლიტიკა, სწავლის შედეგების რეფორმულირება მათი შემდგომი გაზომვის მიზნით;<br>რეკომენდირებულია, სილაბუსების „შესავალი საგარეო პოლიტიკის ანალიზში", „გენდერი და საერთაშორისო ურთიერთობები", „კავკასიის რეგიონი საერთაშორისო ურთიერთობებში" |

| |
|---|
| დემოკრატიული მმართველობა და კანონის უზენაესობა, სილაბუსების სათაური და შინაარსი იყოს შესაბამისობაში.<br>რეკომენდირებულია სასწავლო კურსის - საქართველოს საგარეო პოლიტიკის მიზნის და სწავლის შდეგის ნაწილის რეფორმულირება რომ შეესაბამებოდეს სწავლების საბაკალავრო საფეხურს;<br>რეკომენდირებულია, სილაბუსებში „კავკასიის რეგიონი საერთაშორისო ურთიერთობებში“, „აზია-წყნარი ოკეანის რეგიონი მსოფლიო პოლიტიკაში“; „საერთაშორისო საჯარო სამართალი“, „შესავალი საერთაშორისო უსაფრთხოებაში“ ძირითადი და დამატებითი ლიტერატურა მითითებულ იქნას მითითების აკადემიური წესების დაცვით. |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br>სილაბუსი „საქართველოს ისტორია“ მოიცავს საქართველოს ისტორიას უძველესი დროიდან გეორგიევსკის ტრაქტატამდე. **სასურველია,** სასწავლო კურსი მოიცავდეს საქართველოს ისტორიის ახალ და უახლესს პერიოდსაც ან საქართველოს ისტორიის ახალი და უახლესი პერიოდი დაემატოს ახალი არჩევითი სასწავლო კურსის სახით.<br>ზოგიერთ სილაბუსში ძირითად ლიტერატურად გამოყენებულია მხოლოდ ერთი რიდერი ან კონსპექტი. მაგ. სილაბუსებში: „აზია-წყნარი ოკეანის რეგიონი მსოფლიო პოლიტიკაში“, „ლათინური ამერიკა მსოფლიო პოლიტიკაში“. **სასურველია,** გამრავალფეროვნდეს სილაბუსების „აზია-წყნარი ოკეანის რეგიონი მსოფლიო პოლიტიკაში“, „ლათინური ამერიკა მსოფლიო პოლიტიკაში“ ძირითადი ლიტერატურა. |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) |
| **შეფასება**<br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br>☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>√ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**<br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| **2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება** |
|---|
| პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br>როგორც თვითშეფასების ანგარიში აღნიშნულია, რაც დადასტურდა გასაუბრების საფუძველზეც, საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამა განსაკუთრებულ აქცენტს აკეთებს პრაქტიკული უნარების გამომუშავებაზე. აღნიშნული უნარების განვითარება ინტეგრირებულია უმრავლეს სასწავლო კურსის სილაბუსში. სტუდენტს სასწავლო პროცესის ყველა ეტაპზე ეძლევა მიღებული ცოდნისა და ათვისებული უნარების პრაქტიკული რეალიზაციის საშუალება.<br>საგანმანთლებლო პროგრამის სტრუქტურა და მასში მოცემული ზოგიერთი სასწავლო კურსის ერთობლიობა, ასევე, უზრუნველყოფს საბაზისო კვლევითი უნარების განვითარებას. ამ მიმართულებით, პროგრამა მოიცავს შემდეგ სავალდებულო კომპონენეტებს: კვლევის მეთოდები სოციალურ მეცნიერებებში, აკადემიური წერა, მოლაპარაკებები და კონფლიქტების გადაწყვეტა, თეზისის წერა, საბაკალავრო ნაშრომი აღნიშნული კომპონენტების საკრედიტო მოცულობა და აქტივობები სავსებით საკმარისია საბაზისი კვლევის ადეკვატური უნარ-ჩვევების გაღრმავება-განმტკიცებისათვის. სწორედ კვლევითი კომპონენტების თანმიმდევრული განხორციელებით |

მიიღწევა საბაზისო კვლევითი უნარების განვითარება სტუდენტებში, რაც პროგრამის დასკვნით ეტაპზე საბაკალავრო ნაშრომით დასტურდება. ეს უკნასკნელი  ეფექტური მექანიზმია სწავლის შედეგების მიღწევის დონის შეფასებისათვის. ნაშრომზე მუშაობა სტუდენტისგან მოითხოვს ინტერდისციპლინურ და კომპლექსურ მიდგომას პრობლემის გადაწყვეტის, სტრატეგიის ჩამოყალიბებისა და კვლევის დაგეგმვის პროცესში. სტუდენტს უვითარდება კრიტიკული აზროვნების, ახალი, ორიგინალური მეთოდების შემუშავებისა და მათი პრაქტიკაში გამოყენების უნარი.

როგორც ინტერვიურებამ აჩვენა, დაწესებულების ადმინისტრაცია სტუდენტებში ტრანსფერული და პრაქტიკული უნარების გამომუშავებისთვის ახორციელებს კურიკულუმისაგან დამოუკიდებელი აქტივობებს, მათ შორის, საჯარო ლექციები, დისკუსია/დებატები, მრგვალი მაგიდის ფორმატის შეხვედრები და სხვ. დამატებით, პროგრამა სტუდენტებს არჩევითი სასწავლო კომპონენტის სახით  სტაჟირების გავლასაც სთავაზობს. აღნიშნული ხელს უწყობს სტუდენტების პრაქტიკული უნარების განვითარებას. პრაქტიკული და კვლევითი უნარების განვითარების ხელშეწყობის მიზნით უნივერსიტეტში პროგრამის ფარგლებში ხდება ადგილობრივ და საერთაშორისო პროექტებში, სტუდენტურ კონფერენციებში სტუდენტთა მონაწილეობის წახალისება და მხარდაჭერა მათთვის შესაბამისი ინფორმაციის მიწოდების თუ მენტორობის უზრუნველყოფის საშუალებით, სხვადასხვა საგანმანათლებლო ღონისძიებების ორგანიზება და ჩატარება. დამატებით, პროგრამაზე არსებული პრაქტიკის შესაბამისად, პროგრამის 2021-2022 სასწავლო წლების ბიუჯეტში გამოყოფილია თანხა სტუდენტების საერთაშორისო პროექტებში მონაწილეობის წახალისებისათვის საჭიროების შემთხვევაში, ფინანსური თანამონაწილეობის უზრუნველყოფის საშუალებით.

როგორც თვითშეფასების ანგარიში აღნიშნულია და ეს ინტერვიურების დროს დაადასტურა დაწესებულების წარმომადგენლებმა საგანმანათლებლო პროგრამა დამოუკიდებელი სასწავლო კურსის სახით არ ითვალისწინებს სავალდებულო პრაქტიკის კომპონენტს და სტუდენტებში აღნიშნული უნარების განვითარება ხდება ზოგიერთი სასწავლო კურსისა და ექსტრაკურიკულარული აქტივობების.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- თვითშეფასების ანგარიში;
- ინტრვიუს შედეგები;
- საბაკალავრო პროგრამა;
- საგანმანათლებლო პროგრამის სილაბუსები;
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი
- სილაბუსი-სტაჟირება
- თანამშრომლობის მემორანდუმები;
- სტუდენტების პროექტებში და კონფერენციებში ჩართულობის რაოდენობრივი მონაცემები

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

√ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

პროგრამა იყენებს სწავლა-სწავლების სხვადასხვა მეთოდს როგორებიცაა: ლექცია, სემინარი, ჯგუფში მუშაობა, რომლებიც მოიცავს ისეთ აქტივობებს როგორიცაა დისკუსია, დებატები, დემონსტრირება, პრეზენტაცია, სემინარი, ახსნა-განმარტება, ანალიზი, თანამშრომლობითი სწავლება, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება, ვერბალური ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი, გონებრივი იერიშის მეთოდი, მეთოდი, წერითი მუშაობის მეთოდი და სხვა.

სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან გასაუბრებამ აჩვენა, რომ სწავლება-სწავლის მეთოდები არის მოქნილი და ისინი, ასევე, ითვალისწინებენ სტუდენტების ინდივიდუალურ საჭიროებებს. მარეგულირებელი დოკუმენტების შესწავლამ დაადასტურა, რომ საჭიროების შემთხვევაში, გამოიყენება/მომზადდება სტუდენტის ინტერესებისა და აკადემიური მომზადების დონის შესაბამისად შედგენილი ინდივიდუალური პროგრამა.

ზემოაღნიშნული მეთოდების გამოყენება უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების მიღწევას. მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას. სწავლება-სწავლის სხვა მეთოდები ცალკეულ საგანში გამოყენებულია საგნის სპეციფიკის გათვალისწინებითაც.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- თვითშეფასების ანგარიში
- საგანმანათლებლო პროგრამა
- ინტერვიუს შედეგები პროფესორებთან, სტუდენტებთან
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესები
- საგნების სილაბუსები

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

√ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 2.6. სტუდენტების შეფასება

| |
|---|
| სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br>უნივერსიტეტში ექსპერტთა მიერ ფოკუს-ჯგუფებთან ონლაინ შეხვედრების ჩატარებისა და შესაბამისი დოკუმენტაციის გაცნობის შედეგად გამოიკვეთა, რომ სტუდენტთა მიმართ გამოიყენება სამართლიანი შეფასების სისტემა, რომელიც შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან და ხასიათდება გამჭირვალობით. საერთაშორისო ურთიერთობების ქართულენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამასა და სილაბუსებში ნათლად არის გაწერილი სტუდენტთა შეფასების ის კრიტერიუმები, რომელიც მიეწოდებათ სტუდენტებს სემესტრის დასაწყისში. შეფასების სისტემა ასევე წარმოდგენილია შზსუ-ის ელექტრონულ სასწავლო ბაზაში SIS (sis.ibsu.edu.ge). აღნიშნული ელექტრონული სისტემის მეშვეობით სტუდენტს ეძლევა საშუალება გაეცნოს შეფასებების შედეგებს, იქონიოს უკუკავშირი ლექტორთან და საჭიროების შემთხვევაში გაასაჩივროს დადგენილი წესით მიღებული შეფასება.<br>აქვე ხაზგასასმელია, რომ მოცემული სასწავლო პროგრამის სილაბუსებში წარმოდგენილია სტუდენტთა შეფასების მრავალფეროვანი მეთოდები, რომლებიც უზრუნველყოფენ პროგრმით გაწერილი სწავლის შედეგების ეფექტიანად მიღწევას. კერძოდ, სასწავლო კურსის მეთოდები მოიცავენ შემდეგ კომპონენტებს: დისკუსიაში მონაწილეობას, პრაქტიკული და თეორიული დავალების შესრულებას, ესსეების მომზადებას, პრეზენტაციის წარმოდგენას, სამუშაო ჯგუფში მუშაობას, როლურ აქტივობებისა და ტესტირების ჩატარებას, ასევე ზეპირი ან/და წერითი გამოცდის ჩატარებას. შეფასების თითოეულ ფორმას და კომპონენტს შეფასების საერთო ქულიდან (100) განსაზღვრული აქვს ხვედრითი წილი და აქვს მინიმალური კომპეტენციის ზღვარი რაც გაწერილია სასწავლო კურსების სილაბუსებში. აკადემიური და მოწვეული პერსონალი გაცნობილია შეფასების თანამედროვე მეთოდების გამოყენების წესებს და მათი დანერგვისათვის იღებს მხარდაჭერას საუნივერსიტეტო სერვისებით და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ორგანიზებული ტრენინგებით, შეხვედრებითა და ინდივიდუალური/ჯგუფური კონსულტაციებით. სწავლის შედეგების შეფასების გასაჩივრების წესებისა და სააპელაციო სისტემის შესახებ ასევე ამომწურავი ინფორმაცია მიეწოდება აკადემიურ პერსონალს პროგრამის წარმოადგენლებისა და ფაკულტეტის ადმინისტრაციის მხრიდან.<br>სწავლების პროცესშისტუდენტი ასევე წარადგენს საბაკალვრო ნაშრომს, რომლის შეფასება ხდება 2 ეტაპად - შუალედურ და დასკვნით შეფასებად. შუალედური შეფასებისათვის დადგენილი მინიმალური კომპეტენციის ზღვარის (20 ქულა) გადალახვის შემდგომ, რომელიც ასევე მოიცავს ხელმძღვანელის შეფასებასაც, სტუდენტის ნაშრომი გადის საბოლოო შეფასებაზე. დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის (20 ქულა) დაკმაყოფილება კი წარმოადგენს საბოლოო დადებითი შეფასების მიღების მთავარ წინაპირობას.<br>ვიზიტის განმავლობაში, სტუდენტებთან ინტერვიუს დროს ასევე გამოიკვეთა, რომ რეგულარულად ხორციელდება მათი ინფორმირება უნივერსიტეტში მოქმედი შეფასების სისტემისა და შეფასებასთან დაკავშირებით მოქმედი რეგულაციების შესახებ და ასევე გაცნობილნი არიან მოქმედ სააპელაციო სისტემას. აღნიშნული საშუალებას აძლევს სტუდენტებს, საჭიროების შემთხვევაში, გაასაჩივრონ შეფასების შედეგები საპრეტენზიო განაცხადით სოციალურ, ჰუმანიტარულ და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის ადმინისტრაციასადმი მიმართვის გზით. ამასთანავე, როგორც სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუს ჩატარების დროს გამოიკვეთა, სტუდენტები რეგულარულად იღებენ უკუგებას ლექტორების მხრიდან სწავლის შედეგებთან და მირებულ შეფასებებთან დაკავშირებით, რაც საშუალებას აძლევთ მათ გააუმჯობესონ სწავლის შედეგები. აღსანიშნავია, რომ შეფასება ისევე, როგორც უკუგება აისახება ელექტრონულ უწყისში, რომლის მეშვეობითაც როგორც სტუდენტებს ასევე ლექტორებსა და ფაკულტეტის ადმინისტრაციას, საშუალება ეძლევათ გაეცნონ შედეგებს და გამოიყენონ მიღებული ინფორმაცია კურსის შეფასების სისტემის გაუმჯობესები მიზნით. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br>○ თვითშეფასების ანგარიში;<br>○ საგანმანათლებლო პროგრამა;<br>○ ინტერვიუს შედეგები აკადემიურ პერსონალთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან;<br>○ სასწავლო კურსის სილაბუსები; |
| **რეკომენდაციები:** |

| |
|---|
| წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) |
| **შეფასება**<br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br>√ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**<br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთა |

## პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა | | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | | |

## 3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

| 3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება |
|---|
| სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br>როგორც შზსუ-ში ჩატარებული ონლაინ-ვიზიტისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის გაცნობის შედეგად გამოიკვეთა, საერთაშორისო ურთიერთობების ქართულენოვანი საბაკალავრო პროგრამა გამოირჩევა იმ მექანიზმების მრავალფეროვნებით, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან სტუდენტებისათვის სასწავლო პროცესის დაგეგმვის, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესების, დასაქმებისა და კარიერული განვითარების შესახებ ინფორმაციის მიწოდებაზე. კერძოდ, პროგრამის ხელმძღვანელისგან, ფაკულტეტის დეკანატის და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურისა თუ სხვა ადმინისტრაციული ერთეულის წარმომადგენლებისაგან პროგრამის ყველა სტუდენტი იღებს ამომწურავ ინფორმაციას და საჭირო კონსულტაციას სასწავლო პროცესებთან დაკავშირებით. ამასთანავე აღნიშნული სტრუქტურების წარმოამდგენლებთან სტუდენტები |

მართავენ საინფორმაციო ხასიათის შეხვედრებს რეგულარულად, როგორც ზოგადად უნივერსიტეტის აქტუალურ საკითხებთან მიმართებაში, ასევე პროგრამის გაუმჯობესების კუთხით სტუდენტთა პოზიციების გაზიარების მიზნით.

სტუდენტებს ასევე საშუალება აქვთ აკადემიურ პერსონალთან, სილაბუსით გაწერილ ინდივიდუალურ საკონსულტაციო საათებში მიიღონ ყველა საჭირო დახმარება და ინფორმაცია. ხაზგასასმელია ის ეფექტიანი უკუკავშირი რომელიც არსებობს პროგრამის ადმინისტრაციულ და აკადემიურ პერსონალსა და სტუდენტებს შორის. მოცემული მჭიდრო თანამშრომლობის შედეგად, სტუდენტთა მთელი რიგი წინადადებები სასწავლო პროგრამის, ცალკეულ სილაბუსებისა თუ სასწავლო პროცესის წარმოებასთან მიმართებაში გათვალისწინებული და ასახული იქნა პროგრამის დახვეწის პროცესში. კერძოდ გაძლიერდა პრაქტიკული კომპონენტი, დაიხვეწა რიგი სასწავლო კურსების სავალდებულო ლიტერატურა და პროგრამას დაემატა ახალი სასწავლო კურსები. მოცემულ პროცესს ასევე ხელი შეუწყო თვითშეფასების პროცესში სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა აქტიურმა ჩართულობამ.

სტუდენტებს ასევე მხარდაჭერას უწევს კარიერის დაგეგმვის სამსახური, რომელიც უზრუნველყოფს სტუდენტებისათვის როგორც სწავლის პროცესთან, ასევე მათი შემდგომი კარიერული განვითარების საკითხების თაობაზე კონსულტაციების გაწევას. აღსანიშნავია, რომ სტუდნტების ინფორმირების მიზნით ეფექტურად გამოიყენება როგორც სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა SIS (sis.ibsu.edu.ge), ასევე SMART-ის საკომუნიკაციო პლატფორმა, ელექტრონული ფოსტა, სატელეფონო კომუნიკაცია, სოციალურ ქსელებში შექმნილი ოფიციალური ჯგუფები და უნივერსიტეტის ოფიციალური ელექტრონული გვერდი.

აქვე აღსანიშნავია, რომ შზსუ-ის სოციალურ, ჰუმანიტარულ და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის მეშვეობით სტუდენტი იღებს ინფორმაციას ჩატარებული, მიმდინარე და დაგეგმილი კონფერენციების, გაცვლითი პროგრამებისა და გრანტების თაობაზე. პროგრამა სტუდენტებს ასევე სთავაზობს, სხვადასხვა საერთაშორისო პარტნიორ უნივერსიტეტებთან გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის შესაძლებლობას. აღნიშნული შესაძლებლობის წარმატებით გამოყენების მიზნით, პროგრამა ასევე უზრუნველყოფს სასწავლო კურსის მეშვეობით სტუდენტებისათვის ინგლისური ენის გაძლიერებულ სწავლებას. სტუდენტს დამატებით ეძლევა შესაძლებლობა აირჩიოს და შეისწავლოს სურვილისამებრ მეორე უცხო ენაც, რაც თავის მხრივ კიდევ უფრო ზრდის საზღვარგარეთ პარტნიორ უნივერსიტეტებში სტუდენტთა სწავლის შესაძლებლობას. თუმცა ონლაინ-ვიზიტის შედეგად გამოიკვეთა მოცემული პროგრამის სტუდენტების ნახკლები ჩართულობა, რაც სავარაუდოდ ნაწილობრივ განპირობებული იქნა გლობალური პანდემიითაც. თუმცა, სამომავლოდ სასურველია გაიზარდოს, პროგრამის წარმომადგენლების აქტიური ხელშეწყობით, საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში ქართულენოვანი საბაკალავრო პროგრამის სტუდენტთა ჩართულობის მაჩვენებლი.

აქვე ხაზგასასმელია, რომ პროგრამის წარმატებულ სტუდენტებს საშუალება აქვთ ისარგებლონ სხვადასხვა სახის სტიპენდიებითა და წახალისების მექანიზმებით, კერძოდ აღსანიშნავია შზსუ-ის ფარგლებში ორგანიზებული ოლიმპიადის ჯილდოები, თავდაცვის სამინისტროსთან გაფორმებული თანამშრომლობის მემორანდუმის ფარგლებში დაწესებული შეღავათები და გრანტები მოცემული სამინისტროში მომუშავე სტუდენტებისათვის და მათი ოჯახის წევრებისათვის, სწავლის საფასურთან მიმართებაში დაწესებული გარკვეული სახის შეღავათები ოქროს და ვერცხლის მედალოსანი სტუდენტებისათის და ადრეული რეგისტრაციის პროცესის მონაწილე აბიტურიენტებისათვის.

აღსანიშნავია ასევე, რომ მოცემული პროგრამის ფარგლებში სტუდენტებს საშუალება აქვთ გაიარონ სტაჟირება სხვადასხვა პარტნიორ კვლევით ორგანიზაციებსა და ცენტრებში. ამჟამად უნივერსიტეტი აქტიურად თანამშრომლობს შემდეგ უწყებებთან და ცენტრებთან: საინფორმაციო ცენტრი ნატოსა და ევროკავშირის შესახებ, საქართველოს რეფორმების ასოციაცია, საქართველოს მთავრობის კანცელარია, კავკასიური სახლი და სხვა. ასევე, უნივესიტეტს გაფორმებული აქვს თანამშრომლობის მემორანდუმები ქ. თბილისი მერიასთან, საქართველოს პარლამენტის ი.ჭავჭავაძის სახელობის ბიბლიოთეკასთან, საქართველოს თავდაცვის სამინისტროსთან და სხვა სახელმწიფო უწყებებთან, რაც საშუალებას აძლევს სტუდენტებს მიიღონ სტაჟირების გაზრდილი შესაძლებლობები.

თუმცა სტუდენტების გამოკითხვის შედეგად გამოიკვეთა უნივერსიტეტის მხრიდან საქართველოში არსებულ საერთაშორისო ურთიერთობების საკითხებით დაინტერესებულ იმ კვლევით და ანალიტიკურ ცენტრებთან თანამშრომლობის შემდგომი გაღრმავების აუცილებლობა, რომლებთანაც

ამჟამად თანამშრომლობს უნივერსიტეტი. ეს მნიშვნელოვნად შეუწყობდა ხელს როგორც სტუდენტთა სტაჟირებისა და დასაქმების შესაძლებლობის გამრავალფეროვნებას, ისე რაოდენობრივად უფრო მეტი სტუდენტის ჩართულობას აღნიშნულ პროცესებში.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

ონლაინ-ვიზიტის შედეგები;
საგანმანათლებლო პროგრამა;
პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
ინტერვიუ პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან;
ინტერვიუ თვითშეფასების ჯგუფთან;
თანამშრომლობის მემორანდუმები;
სასწავლო კურსების სილაბუსები;

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

უნივერსიტეტის მხრიდან სტუდენტთა პრაქტიკული საქმიანობის ხელშეწყობის მიზნით, გაგრძელდეს საქართველოში მოქმედ კვლევით და ანალიტიკურ ცენტრებთან პარტნიორული ურთიერთობების გაღრმავების პროცესები, რათა სტუდენტებს შეექმნათ საკუთარი ცოდნის გაფართოებისა და პრაქტიკაში გამოყენების კიდევ უფრო მეტი შესაძლებლობა.

სასურველია სამომავლოდ პროგრამის ხელმძღვანელობამ და შზსუ-ის შესაბამისმა სამსახურებმა უზრუნველყონ საერთაშორისო გაცვლით პროგრამებსა და პროექტებში კიდევ უფრო მეტი სტუდენტის ჩართულობა, რაც თავის მხრივ სამომავლოდ უზრუნველყოფს პროგრამის საერთაშორისო ურთიერთობების კვლევითი და პრაქტიკული კომპონენტის გაძლიერებას.

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

ხაზგასასმელია ის მჭიდრო ურთიერთკავშირი, რომელიც არსებობს პროგრამის განმახორციელებლ პერსონალსა და სტუდენტებს შორის. აღნიშნული პრაქტიკა პროგრამის შემდგომი დახვეწისა და განვითარების წარმატებულ წინაპირობას წარმოადგენს, რაც თავის მხრივ სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების წახალისებისა და ცოდნის დაუფლების ეფექტიანი მექანიზმის შემუშავების მთავარ განმაპირობებელ ფაქტორს წარმოადგენს.

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

√ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**
☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთა

## 3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

- საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს პრობლემატური საკითხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს

| |
|---|
| შედეგების ჩათვლით |
| **რეკომენდაციები:**<br>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) |
| **შეფასება**<br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br>☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

## პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | | | |

## 4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

| 4.1 ადამიანური რესურსი |
|---|
| ➢ პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია;<br>➢ პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას;<br>➢ პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში;<br>➢ პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო |

| |
|---|
| რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br>პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 43 პერსონალი, მათ შორის 11 აფილირებული აკადემიური პერსონალი (5 პროფესორი, 6 ასოცირებული პროფესორი) და 32 მოწვეული პერსონალი. პროგრამის 43 პერსონალიდან 9 პერსონალი (3 კადემიური, 6 მოწვეული) ჩართულია დამატებითი პროგრამის (minor, 30 ECTS) განხორციელებაში. პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.<br>პროგრამის განმახორციელებელ პერსონალს აქვს შესაბამისი კვალიფიკაცია. პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალიდან 23 ფლობს დოქტორის აკადემიურ ხარისხს. პროგრამის განხორციელებაში ჩართული არიან ასევე პრაქტიკოსები დარგის შესაბამისი გამოცდილებით (დიპლომატიური საქმიანობა, სამთავრობო სტრუქტურებში საქმიანობის გამოცდილება, არასამთავრობო და კვლევით ორგანიზაციებში საქმიანობის გამოცდილება). აკადემიური და მოწვეული პერსონალი აქტიურად არის ჩართული საერთაშორისო აქტივობებსა და სამეცნიერო მუშაობაში. პერსონალის საერთაშორისო აქტივობებში ჩართულობას ადასტურებს ინტერნაციონალიზაციის ანგარიში და უსდ-ს ადმინისტრაციულ, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან განხორციელებული ინტერვიუები.<br>პროგრამას ჰყავს 1 ხელმძღვანელი და 1 თანახელმძღვანელი. პროგრამის ხელმძღვანელს და თანახელმძღვანელს გააჩნიათ პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა, გამოცდილება და აქტიურად არიან ჩართული პროგრამის განხორციელებაში.<br>პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br>აკრედიტაციის ონლაინ ვიზიტის დროს განხორციელებული ინტერვიუები<br>პროგრამის თვითშეფასების ანგარიში<br>პერსონალის პირადი საქმეები<br>საგანმანათლებლო პროგრამა<br>საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ინტერნაციონალიზაციის ანგარიში<br>ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა (2018-2025) |
| **რეკომენდაციები:**<br>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) |
| **შეფასება**<br>**X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**<br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| |
|---|
| 4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება |

- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს;
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

უსდ რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური/მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს, რაც დასტურდება როგორც წარმოდგენილი დოკუმენტაციით, ასევე უსდ ადმინისტრაციასთან და პერსონალთან ჩატარებული ინტერვიუებით. უსდ აკადემიური და მოწვეული პერსონალის საქმიანობას აფასებს უსდ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური სემესტრულად და წლიურად. კერძოდ, პროცესი ხორციელდება სტუდენტების გამოკითხვითა და გამოკითხვის შედეგების ანალიზით, სასწავლო პროცესის განხორციელების მონიტორინგითა (ლექციების მიმდინარეობა, ლექციებზე დაკვირვება, ელექტრონული სისტემის წარმოება (SMART, SIS), სტუდენტების აკადემიური მოსწრება, გამოცდების მონიტორინგი და ა.შ.) და შედეგების ანალიზით, პერსონალის აკადემიური/სამეცნიერო საქმიანობის შეფასებით. შემუშავებულია აკადემიური/მოწვეული პერსონალის ყოველწლიური შეფასების ფორმა, სადაც ქულობრივად არის გამოსახული პერსონალის სხვადასხვა აქტივობები. უსდ-ში ასევე მოქმედებს ლექციებზე ურთიერთდასწრების პრაქტიკა (კოლეგიალური შეფასება) და წახალისებულია სილაბუსების განახლების პროცესი.

უსდ ზრუნავს აკადემიური და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, რაც დასტურდება როგორც წარმოდგენილი დოკუმენტაციით, ასევე უსდ ადმინისტრაციასთან და პერსონალთან ჩატარებული ინტერვიუებით. წარმოდგენილი დოკუმენტაციით, ბოლო ორი წლის მანძილზე უსდ-მ უზრუნველყო 20 ტრენინგის ჩატარება, მათ შორის მოწვეული ტრენერების მიერ და მათ შორის ისეთ საკითხებზე, როგორიცაა: ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩო და სწავლის სფეროების კლასიფიკატორი, საგრანტო შესაძლებლობები, პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება, სილაბუსი, სწავლების და შეფასების მეთოდები, განათლების თანამედროვე ტენდენციები, რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის კონკურსებისა და პროგრამებისათვის განაცხადების მომზადება, მონაცემთა ანალიზი, პროფესიული ორიენტაცია და სხვ. უსდ-ში ასევე რეგულარულად ტარდება სხვადასხვა საჯარო ლექციები დარგობრივი თემატიკის გათვალისწინებით.

უსდ ხელს უწყობს პერსონალს სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებაში, რაც დასტურდება როგორც წარმოდგენილი დოკუმენტაციით, ასევე უსდ ადმინისტრაციასთან და პერსონალთან ჩატარებული ინტერვიუებით. პროგრამის ბიუჯეტში გამოყოფილია თანხები სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობისთვის. პერსონალის სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობა ფასდება ყოველი აკადემიური წლის ბოლოს მათ მიერ გამოქვეყნებული ნაშრომების (სტატია, თეზისი, ჟურნალი, წიგნები და ა.შ.) სამეცნიერო ღონისძიებებში (კონფერენციები, სიმპოზიუმები, კონგრესები და ა.შ.), სემინარებსა და პროექტებში მონაწილეობის, ასევე უნივერსიტეტში განხორციელებული სხვადასხვა ღონისძიებების მიხედვით. პერსონალს ხელშეკრულებით ეკისრება სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის ვალდებულება და პერსონალის სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობა ყოველწლიურად ფასდება ქულებით. სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობა არის მნიშვნელოვანი კომპონენტი აკადემიური/მოწვეული პერსონალისთვის შრომითი ხელშეკრულების გაფორმების პროცესში. მოწვეულ პერსონალს ასევე შეუძლია გამოიყენოს უსდ ფინანსები სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობისთვის. უსდ-ში გამოიცემა სამეცნიერო ჟურნალი და იბეჭდება სახელმძღვანელოები/მონოგრაფიები. უსდ-ს შემუშავებული აქვს სამეცნიერო/კვლევითი აქტივობებისთვის (სამეცნიერო სტატიის გამოცემა, წიგნის გამოცემა, სარედაქციო მუშაობა, გრანტების მოზიდვა, კონფერენციებში მონაწილეობა და სხვ.) პერსონალის მიერ უსდ ფინანსების გამოყენებისა თუ ჰონორარის მიღების დეტალური რეგულაციები. უსდ პერსონალის სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის დაფინანსება გარდა პროგრამის ბიუჯეტისა გათვალისწინებულია უსდ ცენტრალიზებულ ბიუჯეტშიც. უსდ-ს ასევე მოქმედებს შიდა საგრანტო სისტემა. უსდ-ს მიერ ხორციელდება ლექტორების მოწვევა ინტერდისციპლინური კვლევებისთვის. უსდ სამეცნიერო/კვლევითი პოლიტიკის ეფექტურობას

| |
|---|
| ადასტურებს პერსონალის პუბლიკაციების სიმრავლე ეროვნულ თუ საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალებში და პერსონალის ჩართულობა ეროვნულ და საერთაშორისო კონფერენციებში. უსდ ვებ-გვერდზე განთავსებულია ინფორმაცია სამეცნიერო პროექტებისა და აქტივობების, კვლევითი ცენტრების შესახებ და განთავსებულია სამეცნიერო პროდუქტი (ჟურნალები, წიგნები, შრომები). სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის და კვლევითი ცენტრების განვითარება გათვალისწინებულია 3 წლიან სამოქმედო და 7 წლიან სტრატეგიულ გეგმებში. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br>აკრედიტაციის ონლაინ ვიზიტის დროს განხორციელებული ინტერვიუები<br>პროგრამის თვითშეფასების ანგარიში<br>პროგრამის ბიუჯეტი<br>ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები (სახელმძღვანელო დოკუმენტი). 2019<br>აკადემიური და მოწვეული პერსონალის წლიური შეფასების ფორმა<br>საერთაშორისო ურთიერთობების ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ინტერნაციონალიზაციის ანგარიში<br>აკადემიური საქმიანობის წახალისების დებულება, 2018<br>სამეცნიერო-პედაგოგიური საქმიანობის ანგარიში<br>სამეცნიერო ნაშრომის გამოქვეყნებისათვის ჰონორარის მოთხოვნის ფორმა<br>განცხადების ფორმა სამეცნიერო ღონისძიებაზე დასწრების შესახებ<br>სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობის ყოველწლიური ანგარიშის ფორმა<br>აკადემიური პერსონალის ყოველწლიური შეფასების ფორმა<br>სამოქმედო გეგმა 2018-2021<br>სტრატეგიული გეგმა 2018-2025<br>უსდ ვებგვერდი |
| **რეკომენდაციები:**<br>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) |
| **შეფასება**<br>**X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**<br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| 4.3 მატერიალური რესურსი |
|---|
| პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br>უსდ პროგრამის სტუდენტებსა და პერსონალს უზრუნველყოფს ტექნიკით აღჭურვილი აუდიტორიებით, სტუდენტური სივრცეებით და სხვა აუცილებელი ინფრასტრუქტურით. უსდ-ში ფუნქციონირებს საგამოცდო ცენტრი. უსდ ბიბლიოთეკა აღჭურვილია ყველა საჭირო მატერიალურ ტექნიკური ბაზით და ფლობს 25 000 ერთეულამდე ბეჭდურ და 700-მდე |

| |
|---|
| ციფრულ რესურსს. უსდ ვებგვერდზე განთავსებულია ბიბლიოთეკის ელექტრონული კატალოგი. პროგრამის სილაბუსებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურიდან შემთხვევითობის პრინციპით შერჩეული ლიტერატურა ბიბლიოთეკაში იძებნება. ონლაინ სწავლების პირობებში, საბიბლიოთეკო მომსახურება გახდა პირობებზე მორგებული - სტუდენტებს აქვთ ლიტერატურაზე და სამეცნიერო ბაზებზე (Elsevier, Cambridge) დისტანციურად წვდომის საშუალება. ბიბლიოთეკა სტუდენტებს სთავაზობს სხვადასხვა სერვისებს, მათ შორის, შესაძლებელია წიგნის დაჯავშნა, პარტნიორი ბიბლიოთეკებიდან მოტანა და სხვ. ონლაინ სწავლების პირობებში დაემატა ახალი სერვისი - „შეეკითხე ბიბლიოთეკარს". |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br>უსდ-ში განხორციელებული ონლაინ ვიზიტი<br>ბიბლიოთეკის დებულება (2017)<br>უსდ ვებგვერდი |
| **რეკომენდაციები:**<br>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) |
| **შეფასება**<br>**X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**<br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| 4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა |
|---|
| პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br>უსდ საერთაშორისო ურთიერთობების ქართულენოვან საბაკალავრო პროგრამას აქვს საკუთარი ბიუჯეტი. წარმოდგენილი ბიუჯეტის მიხედვით, მიღებული შემოსავლები ბევრად აჭარბებს დანახარჯს. ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილი გათვალისწინებულია თანამშრომელთა ხელფასებისთვის, სამეცნიერო და კვლევითი ხარჯებისთვის (პერსონალის, სტუდენტური), სახელმძღვანელოების შესაძენად, სტუდენტური აქტივობებისთვის, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გასაუმჯობესებლად და სხვ. პროგრამის ბიუჯეტი შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს და განაპირობებს პროგრამის მდგრადობას. გარდა პროგრამის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსებისა, პროგრამისთვის აუცილებელი ზოგიერთი აქტივობის დაფინანსება შესაძლებელია ცენტრალიზებული ბიუჯეტიდან. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br>აკრედიტაციის ონლაინ ვიზიტის დროს განხორციელებული ინტერვიუები<br>პროგრამის ბიუჯეტი |
| **რეკომენდაციები:**<br>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე |

| |
|---|
| ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) |
| **შეფასება**<br>**X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**<br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

## პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | | | |

### 5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

| |
|---|
| **5.1 შიდა ხარისხის შეფასება** |
| პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br>შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის საქმიანობის განმსაზღვრელი დებულების მიხედვით, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური უზრუნველყოფს სწავლებისა და სწავლის და მეცნიერული მუშაობის ხარისხის და მისი გაუჯობესების ხელშეწყობას.<br>ამ მიზნით უნივერსიტეტში მოქმედებს და საჯაროდ ხელმისაწვდომია ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა, რომელიც განიხილება, როგორც სწავლებისა და სწავლის ხარისხის გაუმჯობესების მუდმივი პროცესი, სადაც გაწერილია ხარისხიის გაუმჯობესების აქტივობების დაგეგმვის მექანიზმები- ჩატარებული კვლევებიდან მიღებული შედეგების საფუძველზე.<br>სამსახური მუშაობს პრინციპით: დაგეგმე-განახორციელე-შეამოწმე-განავითარე. რაც გამოიხატება: ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ განხორციელებულ ყველა საქმიანობის დაწყებსა შეფასებით, რის შედეგადაც ხდება არსებული ხარვეზებისა და ნაკლოვანებების აღმოჩენა და ხარვეზების აღმოსაფხვრელად საჭირო ნაბიჯების დაგეგმვა (დაგეგმე), შემდეგ ეტაპზე კი ხარვეზების აღმოსაფხვრელად დაგეგმილი ნაბიჯების გადადგმა, საჭირო ცვლილებების განხორციელება (განახორციელე), ხდება განხორციელებული ცვლილებების შედეგებზე დაკვირვებისა და შესაბამისად, გამოყენებული მექანიზმების შემოწების (შეამოწმე) საფუძველზე. ასევე მნიშვნელოვანია მიღებული შედეგების მიხედვით შესაბამის გამოყენებულ მექანიზმებთან ან ჩატარებულ ქმედებებთან დაკავშირებით საჭირო ცვლილებების განხორციელება/პროცესის დახვეწის მიზნით (განავითარე).<br>ხარისხის უზრუნველყოფის საქმიანობაში სისტემატიზირებულია უნივერსიტეტის მუშაობის ხარისხის შეფასების, სტანდარტებისა და ეფექტური განხორციელების პროცედურები, |

რომლებიც ჩვეულებრივ რეგულარულად ხორციელდება. მათგან ერთ-ერთი ძირითადი - თანამშრომლობა და განვითარება არის მთავარი საშუალება, რომლითაც უნივერსიტეტი აფასებს და ასახავს თავის მუშაობას, გეგმავს პოლიტიკას, გეგმებს და პროცესებს, აჩვენებს ანგარიშვალდებულებას, განსაზღვრავს თავის სიძლიერეს და ნებისმიერ საჭირო ცვლილებას გაუმჯობესებისათვის. ხორციელდება მონიტორინგი და იწერება ანგარიში იმისათვის, რომ შემოწმდეს, ჰქონდა თუ არა მას წინასწარ განსაზღვრული ეფექტი და ისახება შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმები.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ყოველსემესტრულად ახორციელებს სასწავლო კურსებში სტუდენტების შეფასებების ანალიზს შეფასების ქულების გადანაწილების თვალსაზრისით ე.წ. grade distribution-ს, ამოწმებს უნივერსიტეტის ელექტრონულ smart პლატფორმაზე სასწავლო კურსებში სილაბუსების, სასწავლო მასალის ხელმისაწვდომობას სტუდენტებისთვის, აფასებს საუნივერსიტეტო შეფასების SiS პლატფორმაზე სტუდენტების შეფასების ასახვის დროულობას. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური პერიოდულად ხვდება პროგრამის სტუდენტებს, ახორციელებს აკადემიური და მოწვეული პერსონალის კმაყოფილების კვლევას, ამოწმებს საკონსულტაციო საათების ცხრილს, ყოველი წლის ბოლოს მუშავდება აკადემიური პერსონალის მიერ წარმოდგენილ სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობის წლიური ანგარიშები.

აღსანიშნავია, ისიც, რომ საერთაშორისო ურთიერთობების ქართულენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამასა და სილაბუსებში ნათლად არის გაწერილი სტუდენტთა შეფასების ის კრიტერიუმები, რომელიც მიეწოდებათ სტუდენტებს სემესტრის დასაწყისში. (რაც დეტალურად არის წარმოდგენილი 2.6 სტანდარტში).

შეფასების სისტემა ასევე წარმოდგენილია შზსუ-ის ელექტრონულ სასწავლო ბაზაში SIS (sis.ibsu.edu.ge). აღნიშნული ელექტრონული სისტემის მეშვეობით სტუდენტს ეძლევა საშუალება გაეცნოს შეფასებების შედეგებს, იქონიოს უკუკავშირი ლექტორთან და საჭიროების შემთხვევაში გაასაჩივროს დადგენილი წესით მიღებული შეფასება.

რაც დასტურდება სტუდენტებთან, აკადემიურ პერსონალთან გასაუბრებით.

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით, პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და გასავითარებლად.

აღნიშნული კვლევების ანგარიშები, გაკეთებული ანალიზები რეკომენდაციებით და მიგნებებით მიეწოდებათ პროგრამის ხელმძღვანელებს, დეკანებს და უნივერსიტეტის ადმინისტრაციას.

გარდა აღნიშნული რეგულარული კვლევებისა, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ახორციელებს კვლევებს გამოკვეთილი სხვა საჭირო მიმართულებებითაც. რაც დასტურდება უსდ-ს ადმონისტრაციასთან, პროგრამის ხელმღვანელებთან გასაუბრებით.

ტარდება აკადემიური და მოწვეული პერსონალის გამოკითხვა.

გამოკითხვები ტარდება უნივერსიტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალისთვის, რომლის მიზანია პერსონალის კმაყოფილების კვლევა და საგანმანათლებლო და კვლევითი პროცესების გაუმჯობესებისთვის მნიშვნელოვანი ფაქტორების გამოვლენა/ გაუმჯობესება.

რაც დასტურდება პერსონალთან გასაუბრებით.

ჩატარებული კვლევების შედეგად გამოვლინდა აკადემიური პერსონალის პროფესიული განვითარების საჭიროება. მაგალითად, ჩატარებული კვლევების შედეგად, გამოვლინდა აკადემიური და მოწვეული პერსონალისათვის აკადემიური პროფილის საუნივერსიტეტო ელექტრონული პლატფორმების (SIS, SMART) უკეთ გამოყენების მიზნით, ტრენინგის ჩატარების საჭიროება.

ასევე ჩატარდა შეხვედრები კვლევითი პროექტების შემუშავების ხელშეწყობის მიზნით.

ამ საკითხზე საინტერესოდ ისაუბრეს პერსონალმა, რომელთა თქმით, ადმინისტრაცია ხელს უწყობს კვლევით პროექტებზე მუშაობას, რისთვისაც სთავაზობს ხელშეწყობის მიზნით სხვადასხვა წახალისების მექანიზმებს, მაგალითად: ამ მიზნით ხდება გარვეული თანხის(3000 ლარის) გამოყოფა სხვადასხვა აქტივობისათვია.

საბაკალავრო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის მომზადებაში უშუალოდ ჩართული იყვნენ პროგრამის ხელმძღვანელი, ფაკულტეტის დეკანი, დეკანის მოადგილე, ფაკულტეტის ადმინისტრაციულ საქმეთა მენეჯერი და უნივერსიტეტის შემდეგი სამსახურები: ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, კარიერის დაგეგმვის სამსახური, კურსადმთავრებულებთან

| |
|---|
| ურთიერთობის სამსახური, კანცელარიისა და ადამიანური რესურსების მართვის სამსახური, სტუდენტურ საქმეთა სამსახური, საერთაშორისო ურთიერთობების სამსახური, ბიბლიოთეკა.<br>პროგრამის განვითარების მიზნით სტუდენტები მუდმივად აფასებენ პროგრამის განხორციელებაში ჩართულ პერსონალს, სასწავლო კურსებს, ხდება სტუდენტებისა და პერსონალის კმაყოფილების კვლევას, ხოლო პროგრამის განახლების მიზნით პროგრამის ხელმძღვანელის მიერ შემუშავებული პროგრამის მიზნების, სწავლის შედეგებისა და სასწავლო გეგმის სამუშაო ვერსია ფასდება ყველა დაინტერესებული მხარის მიერ.<br>მათი რეკომენდაციების გათვალისწინებით მიმდინარეობს პროგრამაში სათანადო ცვლილებების განხორციელება და შესაბამისად პროგრამის დახვეწა.<br>აღნიშნულ პროცესში აქტიურად ჩართულები იყვნენ ასევე სტუდენტები, პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალი, დამსაქმებლები, და კურსდამთავრებულები. რაც დასტურდება თვითშეფასების ჯგუფთან, სტუდენტებთან გასაუბრებით.<br>ხარისხის უზრუნველყოფა და პროგრამის მართვა ხორციელდება დამტკიცებული რეგულაციების მიხედვით, რაც უზრუნველყოფს ყველა პროცესის მიმდინარეობის სიზუსტეს და გამჭვირვალობას.<br>პროგრამის განვითარების პროცესში გაანალიზებული და გაზიარებულია დაინტერესებული მხარეების მოსაზრებები.<br>ხარისხის უზრუნველყოფისა და განვითარების მიზნით, ყოველი სემესტრის ბოლოს ხორციელდება სტუდენტთა მიერ მიღებული ქულების სტატისტიკური ანალიზი. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br>შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები;<br>სტუდენტების მიერ ლექტორებისა და სასწავლო კურსების შეფასების ანგარიშები;<br>ბაზრის კვლევა, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების გამოკითხვის ანალიზი;<br>საერთაშორისო ურთიერთობების (ინგლისურენოვანი) საბაკალავრო პროგრამა და სილაბუსები.<br>ინტერვიუები |
| **რეკომენდაციები:**<br>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) |
| **შეფასება**<br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br>√ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**<br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| 5.2 გარე ხარისხის შეფასება |
|---|
| პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br>პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს. გარე შეფასების მექანიზმები: ავტორიზაცია და აკრედიტაცია, რომელსაც ახორციელებს სსიპ განათლების ხარისხის |

განვითარების ეროვნული ცენტრი. შეფასების დროს მიღებული რეკომენდაციები აისახება პროგრამის განხორციელებისას.

პროგრამის ხარისხის გარე შეფასების მიზნით ხდება პროგრამის შეფასება პოტენციური დამსაქმებლების მიერ, ასევე დარგში დასაქმებული სპეციალისტების მიერ. შეფასების პროცესში დამსაქმებლებმა და დარგში დასაქმებული სპეციალისტების მიერ გადაიხედა პროგრამის მიზნების, სწავლის შედეგების, პროგრამის სტრუქტურის, სასწავლო კურსების თანმიმდევრობის და სემესტრული განაწილების შეფასება, სასწავლო კურსებზე დაშვების წინაპირობები, სასწავლო კურსებისთვის პროგრამის ფარგლებში გამოყოფილი სამუშაო საათების რაოდენობა.

შეფასების შედეგად მიღებული შედეგები გაანალიზდა პროგრამის ხელმძღვანელებისა და პროგრამის შემუშავებაში ჩართული პერსონალის მიერ, რაც დასტურდება დამსაქმებლებთან გასაუბრებით:

ინტერვიუს პროცესში გამოიკვეთა, რომ მათ მიერ ინიცირებული და პროგრამის განმახორციელებლებისთვის შეთავაზებული კურსები, სრულიად აისახა პროგრამაში.

(მაგალითად, მათი შეთავაზება იყო - პროგრამაში კვლევის კომპონენტის გაძლიერება, შესაბამისად, ამ რეკომენდაციამ ასახვა ჰპოვა პროგრამაში: საბაკალავრო ნაშრომი გახდა სავალდებულო, ასევე დაემატა თეზისების წერის პრაქტიკული კომპონენტი)

ხარისხის ამაღლების მიზნით კოლეგები აფასებენ ერთმანეთის მუშაობას, ესწრებიან ერთამნეთს, უზიარებენ შთაბეჭდილებებს და მიღებული ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე აყალიბებენ პროგრამის განვითარების ხედვას და მიდგომებს.

აყალიბებენ ზუსტ, მიმართებებს, რაც განსაზღვრავს პროგრამის აქტუალობას და შემდგომ ეტაპზე სწორი განვითრების პრიორიტეტებს.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

დამსაქმებლებისა და დარგის სპეციალისტების გამოკითხვის შედეგები და რეკომენდაციები.

გასაუბრების/ინტერვიუს შედეგები

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

სასურველია, პროგრამის განვითარებისათვის უცხოელი ექსპერტებისგან იყოს მიღებული გარკვეული შეფასებები, მით უფრო რომ უნივერსიტეტს აქვს საკმაოდ მრავალფეროვანი საერთაშორისო კონტაქტები და მემორანდუმებით განსაზღვრული ურთიერთობები.

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

√ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

საზოგადოების, ბაზრისა და კანონმდებლობის მოთხოვნებთან ერთად საგანმანათლებლო პროგრამა განიცდის შესაბამის ცვლილებებს.

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური კონტროლისა და რეკომენდაციების მიცემით ახორციელებს პროგრამების ხარისხის თანდათანობით გაუმჯობესებას და მათ თანამედროვე სტანდარტებთან მიახლოვებას.

პროგრამული შეფასებით გაანალიზებულია პროგრამის ძლიერი და სუსტი მხარეები, შიდა შეფასება ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ შემდეგი ინსტრუმენტებით: აკადემიური პერსონალის გამოკითხვები, სტუდენტთა მიერ პროგრამების, ლექტორებისა და კურსების შეფასების კითხვარები, აკადემიური პერსონალის მუშაობის წლიური ანგარიში.

რაც დასტურდება სტუდენტებთან, ლექტორებთან გამოკითხვებით.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ახორციელებს შიდა შეფასებებს სტუდენტების კმაყოფილების კვლევის დადგენისა და საგანმანათლებლო პროგრამით დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევადობის შესახებ. რაც დასტურდება სტუდენტების გამოკითხვით, სადაც გამოიკვეთა, რომ სტუდენტების შეხედულებები მაქსიმალურად არის გათვალისწინებული პროგრამის შემუშავების პროცესში.

პროგრამის მონიტორინგისა და ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით, ხარისხის უზრუნველოფის სამსახური პროგრამის ხელმძღვანელთ(ებ)ან ერთად განსაზღვრავს პროგრამისთვის აკადემიური და მოწვეული პერსონალის საჭიროებას, ფაკულტეტთან, პროგრამის ხელმძღვანელ(ებ)თან და ადამიანური რესურსების მართვის სამსახურთან ერთად ახდენს პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის სასწავლო კურსისთვის საჭირო კვალიფიკაციასთან შესაბამისობის გადამოწმებას, ესწრება და აფასებს ლექტორის ვაკანტურ პოზიციაზე კანდიდატის საჩვენებელ ლექციებს, მონაწილეობს კანდიდატის აყვანასთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

სასწავლო პროცესის ეფექტიანი განხორციელება მოწმდება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის, პროგრამის ხელმძღვანელების მიერ შერჩეული დარგის სხვა სპეციალისტის მიერ სასწავლო კურსის მსვლელობის ფარგლებში.

ახალი ლექტორის მუშაობის დაწყების პროცესში საჭიროების შემთხვევაში ხდება მის სასწავლო კურსზე სასწავლო კურსის დაწყებიდან სამი კვირის განმავლობაში. დასწრება, ხდება დამსწრეთა შეჯამებული მოსაზრებების, რეკომენდაციებისა და რჩევების ლექტორისთვის გაზიარება. რაც დასტურდება ლექტორებთან ინტერვიუს პროცესში- გასაუბრებით.

სასწავლო პროცესის გაუმჯობესების მიზნით სტუდენტები ასევე განიხილავენ პროგრამის ხელმძღვანელთ(ებ)ან ერთად.

ხარისხის უზრუნველოფის სამსახური ყოველი სემესტრის ბოლოს უზრუნველყოფს სტუდენტების მიერ სასწავლო კურსებისა და ლექტორების შეფასებას კითხვარების საშუალებით (გამოკითხვა სტუდენტთა ელექტრონული ბაზის მეშვეობითაა შესაძლებელი).

რაც დასტურედება სტუდენტებთან ინტერვიუების საფუძველზე.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ სასწავლო კურსის, პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის, პროგრამის მონიტორინგისა და მთლიანად პროგრამის შეფასების მიზნით მზადდება ჩატარებული სრული საქმიანობის ანგარიშები, მიღებული გამოკითხვის შედეგები, სწავლის შედეგების შეფასების და შედეგების ანალიზის შესახებ ინფორმაცია მიეწოდება პროგრამის ხელმძღვანელ(ებ)ს, ფაკულტეტის ადმინისტრაციას და შესაბამისად, მათთან ერთად განიხილება საჭირო შესატანი ცვლილებები.

რაც დასტურდება აკადემიური და მოწვეული პერსონალის, სტუდენტების გამოკითხვებით.

მაგალითად, პრაქტიკული უნარების გაძლიერება და სხვა მონიტორინგის შედეგად გარკვეული ხარვეზების აღმოჩენის შემთხვევაში, მაგალითად: ნიშნების განაწილებაში გარკვეულწილად სიმეტრიულობის დარღვევა, ლექტორთან ერთად ხდება კონკრეტული სასწავლო კურსის შეფასების სისტემის მეთოდოლოგიური ანალიზი, შეფასება, ძლიერი და სუსტი მხარეების გამოვლენა, რის საფუძველზეც ლექტორი აუმჯობესებს შეფასების სისტემას, რაც ემსახურება სტუდენტის აკადემიური მოსწრების, სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობების გაუმჯობესებას. ცოდნის შემოწმების ყველაზე მნიშვნელოვანი კომპონენტია სტუდენტის განმავითარებელი შეფასება, ეფექტური უკუკავშირი: რაც სტუდენტს უწყობს ხელს საკუთარი აკადემიური მოსწრებისა და სწავლის შედეგების მიღწევის გაუმჯობესების გზების უკეთ დაგეგმვაში.

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება უნივერსიტეტში მიმდინარეობს მუდმივად,

| |
|---|
| უწყვეტ რეჟიმში. მნოშვნელოვანია, ასევე, რომ პერიოდულად მოხდეს პროგრამის დადარება უცხოური უნივერსიტეტების ანალოგიურ პროგრამებთან, მით უფრო რომ უნივერსიტეტს ევროპულ უნივერსიტეტებთან გაფორმებული მემორანდუმები ამის შესაძლებლობას აძლევს. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br>ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება;<br>შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები (სახელმძღვანელო დოკუმენტი);<br>სტუდენტების, პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის, პოტენციური დამსაქმებელების გამოკითხვის შედეგების ანალიზი;<br>სტუდენტების მიერ სასწავლო კურსის და ლექტორების შეფასების კითხვარი, სტუდენტთა გამოკითხვის (სასწავლო კურსისა და ლექტორის შეფასება) შედეგების ანგარიში;<br>ლექციის შეფასების ფორმა;<br>სტუდენტების მიერ სასწავლო კურსისა და ლექტორი შეფასების კითხვარი;<br>ჩატარებული კვლევები.<br>ინტერვიუები |
| **რეკომენდაციები:**<br>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br>სასურველია, პერიოდულად მოხდეს პროგრამის დადარება უცხოური უნივერსიტეტების ანალოგიურ პროგრამებთან, მით უფრო რომ უნივერსიტეტს ევროპულ უნივერსიტეტებთან გაფორმებული მემორანდუმები ამის შესაძლებლობას აძლევს. |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) |
| **შეფასება**<br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br>√ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**<br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

## პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები | **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** | | | |

## თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება: შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური: საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 38

## პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტები | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | | | |
| 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა | | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | | |
| 3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | | | |
| 4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | | | |
| 5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | | | |

<u>აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის</u>

სახელი, გვარი, ხელმოწერა ირაკლი მანველიძე

<u>აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის</u>

სახელი, გვარი, ხელმოწერა გვანცა აბაძალაძე

სახელი, გვარი, ხელმოწერა ირმა ქურდაძე

სახელი, გვარი, ხელმოწერა ნანა ფირცხელანი